ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№66 (1504) 9–12 დეკემბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ჯუმბერ პატიაშვილი იყო კანონიერი ქურდის, ვინმე ბუჩუკურის ქორწილში ხელისმომკიდე და ქურდთა ყრილობაზე მიიღო წინადადება!..“

მეორე გვერდი





## ლოთი ქობალია: ეს რომ პრეზიდენტ გამსახურდიას გაეგო, მე დამხვრეტდა

მეოთხე გვერდი

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია
როგორ მზადდებოდა შეთქმულება

მეხუთე გვერდი

## თენგიზ კიტოვანის პასუხი ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას

მეშვიდე გვერდი

ძვირფასო მასწავლებლებო, XI კლასის მოსწავლეებო, აბიტურიენტებო!
თვალი ადევნეთ გაზეთ „საქართველოს“, დაიწყება ნოდარ გრიგალაშვილის „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების“ პუბლიკაცია.
ძველი და ახალი საპროგრამო ნაწარმოებები, წაკითხული ახალი თვალით...
შეიძინეთ და შეინახეთ გაზეთი „საქართველო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# ჯუმბერ პატიაშვილი: მოსკოვის სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება...

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №64,65

**–რას იტყვით საკავშირო გამოცემების იმ ბრალდებაზე, თითქოს თქვენს დანიშვნაში ცეკას პირველ მდივნად კანონიერ ქურდებსაც ჰქონდათ წვლილი?**

**თითქოს თქვენ ქურდების დიდი ნაწილი საქართველოდან კანონიერი ქურდების პატარა ნაწილის შეკვეთით გააძევეთ? თუ უარყოფთ ამ ფაქტს, იქნებ ის აგვიხსნათ, ასეთი ბრალდება საიდან და რატომ მოდის?**

–დიახ, გამომცემლობა – „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურას“ მიერ ქმოსკოვში გამოცემული წიგნი „კანონიერი ქურდები“ რომლის ავტორები არიან ვინმე პოდლესკიხი და ტერეშონოკი, ამტკიცებენ, თითქოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ჩემს დანიშვნაში დიდი წვლილი მიუძღოდათ კანონიერ ქურდებს.

აღნიშნული წიგნი ჩემმა „კეთილ-მოსურნეებმა“ ოპერატიულად თარგმნეს ქართულ ენაზე და ქქუთაისში გამოსცეს.

ამ ცილისმწამებლურ და პროვოკაციულ გამოცემასაც ჰქონდა თავისი კონკრეტული მიზანი: მოეხდინა ჩემი დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში. იძულებული გავხდი მიმემართა სასამართლოსათვის გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“-ს ადგილმდებარეობისა და წიგნის ავტორების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ქ.მოსკოვის საველევოს რაიონის სასამართლომ განიხილა ჩემი სარჩელი და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:



(გადაწყვეტილების ტექსტი თან ერთვის)

გადაწყვეტილება

რუსეთის ფედერაციის სახელით

1996 წ. 20 აგვისტო

ქ.მოსკოვის ეროვნებათაშორისო რაიონული სასამართლო

მოსამართლე პოროვკინის თავმჯდომარეობით

პროკურორი ი.ვ.რადკო

ადვოკატები ა.ი. კულიკი და ა.ივანოვი

მდივანი ტ.ს.პეტროვა

საქმე ირჩევა ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილის სარჩელის მიხედვით მოპასუხეების გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურას“, გიორგი იურევიჩის და ტერეშონოკის მიმართ ადამიანის პიროვნებისა და ღირსების შელახვის, მორალური ზიანის მიყენების გამო.

იხელმძღვანელეს რა რსფსრ 191, 197, 203, 213 მუხლებით, სასამართლომ

დაადგინა:

ცნობილ იქნას სინამდვილისთვის შეუფერებლად, ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილის პატივისა და ღირსების შემლახველად ინფორმაცია, რომელიც გავრცელებული იყო მოპასუხეთა იურევიჩისა და ტერეშონოკის წიგნით „კანონიერი ქურდები“ – გადასროლა ხელისუფლებისაკენ“, რომელიც გამოსცა 1994 წელს გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“–მ.

კერძოდ ის, რომ „ჯუმბერ პატიაშვილი იყო კანონიერი ქურდის ვინმე ბუჩუკურის ქორწილში ხელისმომკიდე და ქურდთა ყრილობაზე მიიღო წინადადება გაეწია წინააღმდეგობა ანდროპოვისათვის წესრიგის დამყარებისა და კორუფციასთან ბრძოლაში. ჯერ კიდევ მაშინ მიღწეული იყო შეთანხმება იმის შესახებ, რომ პატიაშვილი დაიკავებდა საქართველოში ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ადგილს“, რომ „პატიაშვილი აღმოჩნდა უფრო მეტისმთქმელი, ვიდრე ეს ეგონათ კანონიერ ქურდებს და გამოიჩინა ინიციატივა დიდი თანხების აღებაში“, რომ „გამოძიების მთელმა აპარატმა და ციხის ადმინისტრაციამ მიიღო პატიაშვილისაგან მკაცრი ბრძანება: დახვრეტით დაეშინებინათ ბუჩუკური იმ შემთხვევაში, თუ იგი არ მისცემდა გამოგონილ ჩვენებას საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნის სოლიკო ხაბეიშვილის მიერ სიღნაღის რაიონში მომხდარი დატაცებების გამო ქრთამის აღების შესახებ“. რომ 1989 წლის 9 აპრილი იყო პატიაშვილის გამცემლობა, რომელმაც საქმე მიიყვანა სისხლისღვრამდე.

განჩინება გამოტანილია პატიაშვილის სასარგებლოდ და მისადმი მორალური ზიანის მიყენების გამო მოპასუხეთ „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურას“, იურევიჩსა და ტერეშონოკს დაეკისრათ ოცდაათი მილიონი რუსული რუბლის გადახდა.

მხარეებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ სასამართლო განაჩენის გამოტანას, უფლება აქვთ 15 დღის განმავლობაში შეიტანონ განცხადება სახალხო სასამართლოში გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის განმავლობაში მოსკოვის საქალაქო სასამართლოში სახალხო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე – ხელმოწერილია

(გაგრძელება იქნება)


РЕШЕНИЕ



# თენგიზ სიგუამ კიდევ ერთი გადადგომის განცხადება გააკეთა,

## ოღონდ ამჯერად რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან

7 დეკემბერს ჟურნალისტთა სახლში რუსთაველის საზოგადოებამ პრესკონფერენცია გამართა. საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, მწერალმა გურამ გეგეშიძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტის სახელს მავანი იყენებს, მაშინ, როდესაც თავად ე.შევარდნაძეს ამაზე წარმოდგენაც არა აქვსო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თ.სიგუას ზოგიერთ შეხედულებას არ იზიარებს, მაგრამ მათ ერთიანი მიზანი – საქართველოს კეთილდღეობა აერთიანებთ, და ჟურნალისტებსაც ობიექტურობისაკენ მოუწოდა.

საზოგადოების პრეზიდენტმა თ.სიგუამ მოკლედ მიმოიხილა რუსთაველის საზოგადოების მთელი ისტორია, რომელიც კომუნისტურმა ხელისუფლებამ ი.ჭავჭავაძის საზოგადოების საწინააღმდეგოდ შექმნა, მაგრამ მას სასურველი კონტროლი ვეღარ გაეწია და პრეზიდენტად აკ.ბაქრაძე იქნა არჩეული.

ბატონმა თენგიზმა ჟურნალისტებს შეახსენა საზოგადოების მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები და მოქალაქეთა ჯგუფის მიერ 1996 წლის 15 მარტის შეკრებას მეორე, იგივე სახელწოდების საზოგადოების შექმნის მიზნით უზნეო უწოდა.

ბატონმა თენგიზმა ჩამოაყალიბა აშკარა კანონდარღვევის ფაქტები. კერძოდ, დაირღვა კანონი „საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ", ვინაიდან აღნიშნულ შეკრებაში მონაწილეობდნენ თანამდებობის პირები ვ.ასათიანი, ელ.შენგელაია, ლ.ლოლობერიძე, რომლებსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში ჩარევის უფლება არ ჰქონდათ. ამის გარდა საზოგადოება არავის გაუუქმებია და იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრაციაზე უარი არ იყო გამართლებული – ეს მაშინ, როდესაც მათი წესდების სიტყვასიტყვით განმეორებული ახალი „საზოგადოება" რეგისტრაციაში გაატარეს. თავის გასამართლებლად კი აბსურდული პასუხი მისცეს – წესდება არ წარმოგიდგენიათო.

ბატონმა თენგიზმა გამოთქვა ვარაუდი, რომ იუსტიციის სამინისტრო, მთაწმინდისა და საქალაქო სასამართლო ზეწოლას განიცდიდნენ, რაც ამას წინათ მ.უგრეხელიძემაც აღნიშნა.

ბატონმა თენგიზმა განაცხადა, რომ მან გამგეობას გადადგომის შესახებ აცნობა, რომ საზოგადოების გაუქმების პირადული ინტერესი გამოირიცხოსო. ამის საფუძველი კი მთაწმინდის რაისასამართლომ განჩინებით დაამტკიცა – გამოსახლდეს მხოლოდ თ.სიგუა, რაც აბსურდული და კანონსაწინააღმდეგოა.

ბატონმა თენგიზმა მასმედიის ყურადღება გაამახვილა პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეთა რ.მიმინოშვილისა და მ.სააკაშვილის დასკვნებზე, რომლებსაც იუსტიციის სამინისტრომ იგნორირება გაუწია. ამასთანავე თ.სიგუამ მოიყვანა თ.ნინიძის ინტერვიუ, სადაც იგი აღიარებდა კანონდარღვევებს სიტუაციიდან გამომდინარე, რასაც ორატორმა ვიშინსკის პრინციპით მოქმედება უწოდა.

საზოგადოების პრეზიდენტმა მოიყვანა 15 გაზეთში დაბეჭდილი 60 წერილის სტატისტიკა, რომლებიც ამხელდნენ უკანონობას – მორალურ უზნეობასა და იურიდიულ ნონსენსს.

ბატონმა თენგიზმა გვაუწყა, რომ უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, რომლის პასუხებსაც, ალბათ, მალე გავიგებთ.

გუგაზ მებრელიძე

## აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს საპროტესტო წერილი

საააგენტოს კორესპონდენტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესცენტრიდან აცნობეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის დელეგაციის შემადგენლობაში მოსკოვში იმყოფება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსაგან ზ. ერქვანიას დავალებული აქვს გადასცეს საპროტესტო წერილი რფ-ის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს, ან რუსეთის მთავრობის რომელიმე სხვა ხელმძღვანელს. პროტესტში ნათქვამია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო კატეგორიულად მიუღებლად თვლის რფ-ის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის ბრძანებულებას აფხაზეთში ციტრუსების შესყიდვის შესახებ, ვინაიდან ციტრუსების გაყიდვის შედეგად შემოსულ თანხას აფხაზი სეპარატისტები აუცილებლად იარაღის შეძენას მოახმარენ.

იბერია

## ოჩამჩირის რაიონში კვლავ დაძაბული ვითარებაა

საააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, რომ კვლავ დაძაბული ვითარებაა ოჩამჩირის რაიონში. გრძელდება დაპირისპირება სხვადასხვა აფხაზურ კლანებს შორის. აღსანიშნავია, რომ ტყვარჩელელები ამ დაპირისპირებაში ძირითადად მხარს უჭერენ გუდაუთის დაჯგუფებას.

იბერია

## პედაგოგები ბობოქრობენ

7 დეკემბერს ა.ხორავას სახელობის მსახიობის სახლში „პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის" ინიციატივით გაიმართა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ დებულებას ატესტაციის შესახებ.

კონფერენციას უძღვებოდნენ: „პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის" აღმასრულებელი მდივანი გიორგი ამაშუკელი, დოდო ცერცვაძე. მოხსენებით გამოვიდა ერთ-ერთი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ქ-ნი მანანა ნიკოლაიშვილი, რომელმაც მიმოიხილა დებულება და გამოთქვა შენიშვნები მის მიმართ. პედაგოგებმა ერთხმად მოითხოვეს ატესტაციის გადავადება. სიტყვით გამოვიდნენ მინისტრის მოადგილეები დავით ბურჭულაძე და თამაზ ტატიშვილი. დავით ბურჭულაძემ განაცხადა, რომ იანვარში იქნება ტესტები დარიგებული სკოლებში და ყველა უნდა მოემზადოს ატესტაციისათვის. მიღებულ იქნა ღია წერილი ე.შევარდნაძისადმი, სადაც უარყოფითად იქნა შეფასებული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა. ფორუმის მონაწილენი მოითხოვენ რეფორმის შეჩერებას, ვინაიდან თვლიან მას „სრულიად უაზროდ და განათლების სისტემის დამანგრევლად".

ორი მხარე, სამინისტრო და პედაგოგები ურთიერთს დაუპირისპირდნენ, ეს დაპირისპირება ჯერჯერობით რჩება დაპირისპირებად. რა იქნება შემდგომ, ამას დრო გვიჩვენებს.

პედაგოგებს უაღრესად მწვავე გამოსვლები ჰქონდათ განათლების სამინისტროს მესვეურებისა და საატესტაციო პროცედურის ორგანიზატორების მისამართით. საქმე ეხება მართლაც უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას. ჩვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში ამ საკითხების ირგვლივ გამოქვეყნდება ინტერვიუები, ერთის მხრივ, პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელებთან და მეორეს მხრივ, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორთან ბატონ გია მურღულიასთან.

ა.ჯულელი

### ქ.თბილისის მერს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს, მწერალთა კავშირს, რადიოსა და ტელევიზიის დეპარტამენტს, განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომისიას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, საქართველო თავსდამტყდარი უამრავი ქარტეხილის მიუხედავად, ძირითადი ზნეობრივი პოსტულატების შენარჩუნებით გადაურჩა ჟამთა სიავეს.

ასევე არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ზნეობრივი ნორმების მსხვრევამ და დეგრადაციამ ქვეყნის არსებობას შეიძლება წერტილი დაუსვას.

ადრე თუ გვიან საქართველო აღიდგენს დაკარგულ ტერიტორიულ მთლიანობას, აღორძინდება ეკონომიკა და კაცთა უგუნურებით წამხდარ მატერიალურ ყოფას ეშველება, მაგრამ შეუძლებელი გახდება დაკარგული ზნეობის აღდგენა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში დღეს ზნეობრივი დეგრადაციის შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს.

ფალსიფიცირებულია ან სულაც უარყოფილია ზნეობის, რწმენის, მოყვასის სიყვარულის ელემენტარული ნორმებიც კი.

პრესა, ტელეგადაცემები, წიგნები წალეკილია უზნეობის აპოლოგეტებითა თუ ურცხვად მოშიშვლებული, სკაბრეზულობამდე მისული ფოტონატურებით.

მომავალი თაობა იზრდება ყალბი ორიენტირებით. ენა, მამული, სარწმუნოება, ზნეობა ლამის წარსულის ნეგატიურ გადმონაშთებად იქცეს მათთვის. ნარკომანია და პროსტიტუცია მოზარდებს თითქმის რომანტიკული ცხოვრების სინონიმად მიაჩნიათ.

ხვალ გვიან იქნება. საჭიროა დღესვე ვიღონოთ რამე, რათა ვიხსნათ ჩვენი მომავლის ბედი განადგურებისაგან.

წერილი ხელმოწერილია მოქალაქეთა მიერ.
სულ 78 ხელმოწერა

## ინტენსიური კონსულტაციები საქართველოსა და რუსეთის საფინანსო უწყებებს შორის

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, რომ საქართველოსა და რუსეთის საფინანსო უწყებებს შორის მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარებისათვის ხელფასების ლარებით გადახდის თაობაზე. ხოლო რაც შეეხება რუსულ რუბლს, იგი რუსეთის საველე ბანკიდან უნდა გადაირიცხოს საქართველოს ეროვნულ ბანკში.

იბერია

## მამუკა გიორგაძის განცხადება

საპარლამენტო ფრაქცია "ეროვნულ-დემოკრატის" თავმჯდომარემ მამუკა გიორგაძემ განაცხადა,რომ 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, საქართველოს პარლამენტში დაგეგმილია რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის გენადი სელეზნიოვის გამოსვლა, რომელიც ამ პერიოდში ოფიციალური ვიზიტით საქართველოში იქნება ჩამოსული.

ეს ფაქტი მამუკა გიორგაძეს მიაჩნია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა შეურაცხყოფად.

იბერია

## შეიქმნა ერთობლივი კომისია

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ შექმნილია ერთობლივი კომისია რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც უნდა მოახდინონ საქართველოში დისლოცირებული რფ-ის შეიარაღებული ძალებისათვის დროებით გადაცემული საქართველოს კუთვნილი ქონების ინვენტარიზაცია. გარდა ამისა, ამ კომისიამ უნდა მოამზადოს საბოლოო შეთანხმება საქართველოში რუსეთის ჩვეულებრივი შეიარაღების განლაგების შესახებ. ქართული მხარის თქმით, საქართველო არის ყოფილი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ამდენად იგი მოითხოვს შავი ზღვის ფლოტის წილს, ანუ იმ გემებს, რომლებიც 1992 წლამდე ბათუმსა და ფოთში იყვნენ დისლოცირებულნი. ამ საკითხზე ზემოთხსენებულმა კომისიამ უნდა იმუშაოს.

იბერია

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნა რუსი კოლეგების მიმართ

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ განუცხადა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართა რუს კოლეგებს, რათა დაჩქარდეს საქართველოსა და რუსეთს შორის 1994 წლის 3 თებერვალს დადებული ხელშეკრულების რატიფიცირება. აღნიშნული ხელშეკრულება ჯერჯერობით არ არის რატიფიცირებული რფ-ის პარლამენტის მიერ.

იბერია

## არძინბა და ოზგანი ერთსა და იმავე კლანს ეკუთვნიან

საააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ ხმები იმის თაობაზე თითქოს აფხაზეთის „პრეზიდენტ" ვლადისლავ არძინბასა და აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ კონსტანტინე ოზგანს შორის არსებობს გარკვეული დაპირისპირება და თითქოს ისინი სხვადასხვა კლანებს მიეკუთვნებიან, სინამდვილეს არ შეესაბამება. თამაზ ნადარეიშვილის თქმით, ვლადისლავ არძინბაც და კონსტანტინე ოზგანიც ერთსა და იმავე გუდაუთის კლანს ეკუთვნიან და ისინი სრული თანამოაზრენი არიან. მისივე განცხადებით, მათ პოლიტიკური კურსი უჭირავთ თურქეთზე და არა რუსეთზე.

იბერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა დაალოაგემსრე

# ლოთი ქობალია: ეს რომ პრეზიდენტ გამსახურდიას გაეგო, მე დამხვრეტდა

დაკითხვის ოქმი. 22 ივლისი, 1994 წელი

დაკითხა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა, იუსტიციის მრჩეველმა ა.ხვადაგიანმა. დაკითხვაში მონაწილეობდნენ: ადვოკატები ლ.ბერიაშვილი და გენ.პროკურორის მოადგილე ა.ბალუაშვილი

პრეზიდენტის, აბსანძის, გელანტიასა და სხვების მიზანი იყო შეიარაღებული გზით დაეკავებინათ საქართველოს ტერიტორია ენგურიდან ცხენისწყალამდე. ამის შემდეგ გვეიძულებინა დღევანდელი ხელისუფლება შეექმნა კოალიციური მთავრობა და ჩაეტარებინა არჩევნები. ეს გეგმა მოდიოდა გამსახურდიასგან, აბსანძისაგან, გელანტიასაგან, გუგუშვილისაგან და ყველა იმ პირისგან, ვინც აქტიურად იბრძოდა დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. მე მართლაც შევასრულე პირობა და ჩემი შეიარაღებული ძალებით გამოვედი მდ.ცხენისწყალზე. ქსამტრედიაში და ქუთაისში შესვლა დაგეგმილი არ ყოფილა. მე აქ ჯარები შევაჩერე და დაახლოებით ორი დღე, რიცხვი არ მახსოვს, ვიყავი მარტვილში და ჩემს გარეშე ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს სამტრედია. ჩემთვის ეს იყო მოულოდნელი. ამ დროს გამსახურდია იყო აბაშაში, როცა მე ჩამოვედი სამტრედიაში, მებრძოლებისაგან გავიგე, რომ სამტრედიაში შესვლის ბრძანება გაუცია გამსახურდიას. გამსახურდიასთან ამ თემაზე არ მილაპარაკია, რადგან ვერ შევბედე რატომ დაარღვია მან ჩვენი პირველი გეგმა ცხენისწყალზე გამაგრების, არ ვიცი. აბსანძეს რომ ვკითხე, თუ რა მოხდა, მიპასუხა, რომ მანაც არაფერი იცოდა. მებრძოლებში დომინირებდა აზრი, რომ ისინი მიდიოდნენ თბილისის ასაღებად. სამტრედიაში გამსახურდიამ და აბსანძემ მომცეს მითითება, რომ ჯარები დამეძრა ქუთაისისაკენ, რადგან, მათივე თქმით, დაზვერვის მონაცემებით, ქუთაისამდე გზა იყო თავისუფალი და ქუთაისი იყო დაუცველი. მივხვდი, რომ გამსახურდიას უნდოდა სამხედრო ძალით აეღო თბილისი. მე ეს მიმაჩნდა აბსურდად, რადგან ჩვენ ამის სამხედრო ძალა არ გაგვაჩნდა. მეორეც ის, რომ თუკი მოვლენები ისე განვითარდებოდა, რომ ჩვენ თბილისისაკენ დავიწყებდით სვლას, მთელს სამეგრელოს დაუპირისპირდებოდა დანარჩენი საქართველო და ეს კატასტროფულ ზიანს მოუტანდა ერს. ამასთან ერთად, მე ვიცოდი, რომ ჩვენი გეგმა ითვალისწინებდა ცხენისწყალზე გამაგრებას და შემდეგ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას. ეს გეგმა გამსახურდიას გადაწყვეტილებით დაირღვა ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი. ამიტომ გადავწყვიტე მიმეღო ყველა ზომა, აღარ გაგრძელებულიყო ქუთაისისაკენ სვლა. ამიტომ მოვიფიქრე და აბსანძეს და პრეზიდენტს ვუთხარი, რომ ხონში დაიძაბა კრიმინალური ვითარება, ადგილი აქვს ყაჩაღობებს, ხალხი შეწუხებულია, ჩავალ ხონში, მოვაგვარებ სიტუაციას და მერე ვიფიქროთ ქუთაისზე-მეთქი. ხონში შეიარაღებულ ფორმირებებს ხელმძღვანელობდა ანზორ ჩხეიძე. აქვე იყო თენგიზ ბულია იგივე „კიროკი". მე მათ ვუთხარი, რომ ყაჩაღობის ფაქტები რომ აღკვეთილიყო, შეიარაღებული ფორმირებები უნდა გაეყვანათ ხონიდან ქზუგდიდში. ხონში ისინი იყვნენ 4–5 დღე და ფორმირებები გაიყვანეს ზუგდიდში. აქვე მოვიმიზეზე ის ამბავიც, რომ ჩემი ინფორმაციებით სამთავრობო ჯარებს ეხმარებოდნენ რუსები და ამას შეიძლება მოჰყოლოდა უაზრო სისხლისღვრა. მივაღწიე იმასაც, რომ დავიხიეთ უკან აბაშამდე. ამ პერიოდში აბსანძისაგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დამხმარე ძალებს მივიღებდით აფხაზეთიდან. როგორც მოგახსენეთ, მე შინაგანად ამის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ აბსანძისათვის არ გამიმჟღავნებია. ამის შესახებ ვუთხარი გურამ ლაკიას. ისიც წინააღმდეგი იყო აფხაზი ბოევიკების შემოყვანის, ამიტომ მე და ლაკიამ გადავწყვიტეთ ყველა ღონე გვეხმარა და ჩვენი ფორმირებები გამოგვეყვანა ბრძოლიდან. ამასთან დაკავშირებით, როგორც მახსოვს, პირადად მე დავუკავშირდი ელსმენით ქფოთში კუკური როგავას. მე ანაკლიაში შევხვდი მას და ვახტანგ გვარამიას. მათ ავუხსენი ვითარება, რომ პრეზიდენტი და აბსანძე აპირებდნენ აფხაზი ბოევიკების შემოყვანას, რომ მე და ლაკია ამის წინააღმდეგი ვიყავით. ამის წინააღმდეგი იყო სოხუმის ბატალიონი და სხვები, რომლებიც ჩვენს მხარეზე იბრძოდნენ. გადავწყვიტეთ, რომ მე ჩვენს პოლიტიკოსებს, ე.ი. გამსახურდიას, აბსანძეს, გელანტიასა და სხვებს ჩამოვიცილებდი, გავიყვანდი ქზუგდიდიდან და ამის შემდეგ, დაახლოებით სამ დღეში შევხვდებოდი მათ, სადაც გადაწყდებოდა საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. ამის შემდეგ მე ჩამოვედი ზუგდიდში. მოგახსენებთ, რომ ჩვენი ზემოაღნიშნული შეხვედრა იყო საიდუმლო. ამის შესახებ პრეზიდენტმა, აბსანძემ და სხვებმა არაფერი იცოდნენ. ამ შეხვედრისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ რაიმე დოკუმენტი არ შემდგარა. ჩამოვედი ზუგდიდში. მე და ლაკიამ მივიღეთ ყველა ზომა და ჩვენი ფორმირებები გამოვიყვანეთ საბრძოლო მოქმედებების ზონიდან. სოსო ელენტის პოლკი წავიდა ლუგელას მთების მხარეს. ამ მიმართულებით წავიდა ელიავას პოლკიც. სოხუმელებმა, სოსო ჯომიდავას თავკაცობით გადაწყვიტეს და წავიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე პარტიზანული ბრძოლებისათვის. ზუგდიდის პოლკმა დაიკავა ზუგდიდი და ზუგდიდის შემოსასვლელი სოფ. ცაიშთან. ყოველივე ეს მოხდა ჩემი, ლაკიასი და ზემოაღნიშნული პირების ინიციატივით. ამის შესახებ არაფერი იცოდნენ პრეზიდენტმა, აბსანძემ, გელანტიამ და სხვებმა. მათ ეს რომ გაეგოთ, ჩვენს მიმართ გამოყენებული იქნებოდა სასჯელის უმაღლესი ზომა. როცა ჩვენ ჯარები გამოვიყვანეთ საბრძოლო მოქმედების ზონიდან, პრეზიდენტი დავარწმუნეთ იმაში, რომ ხელისუფლების ჯარებს ეხმარებოდა რუსეთის ჯარი და რომ მათთან ბრძოლა უაზრო სისხლისღვრას გამოიწვევდა. ფაქტიურად მართლა ეხმარებოდა თუ არა რუსის ჯარი საქართველოს ხელისუფლებას, არ ვიცი. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ პრეზიდენტი, აბსანძე და სხვები დავითანხმე დაეტოვებინათ ზუგდიდი. თუ რომელ რიცხვში მოხდა ეს, ზუსტად არ მახსოვს. ეს უნდა მომხდარიყო 1993 წლის 26 ოქტომბერს. მე ადრეც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, როდესაც ჩემი ოჯახის ყველა წევრით, სამი მანქანით გამოვედით ზუგდიდიდან აფხაზეთის მიმართულებით, ჩვენთან ერთად თავიანთი მანქანებით წამოვიდნენ გამსახურდია, აბსანძე და სხვები. მე ამის შესახებ მოგეცით ჩვენება და მის დეტალებზე აღარ შევჩერდები. სოფ.აჩიგვარასთან შემოგვხვდა ა/მანქანების კოლონა. წინ მიდიოდა თეთრი ნივა. მოყვებოდა „ბმპ", ავტობუსი. ადრე ჩვენებაში გითხარით, რომ მიყვებოდა ერთი ავტობუსი „პაზიკი". ამ შემთხვევაში შეიძლება მე ვცდები და თქვენს მიერ დაკითხული მოწმეები უჩვენებენ სიმართლეს. მე როგორც მახსოვდა, შემოგვხვდა „ბმპ" და „პაზიკი".

როგორც მოგახსენებთ, პრეზიდენტის მანქანების კოლონას მივყვებოდი უკან, როცა ჩვენ შევჩერდით. მე ვიჯექი უკან. ამდენად ყურადღება არ გამიმახვილებია სამხედრო ტექნიკისა და მანქანების კოლონის მიმართ, რომლებიც შემოგვხვდა. ისინი არ გაჩერებულან, ისე გააგრძელეს გზა. მე ვიცი, რომ როცა ჩვენი მანქანების კოლონა გაჩერდა, მათთან გაჩერდა შემხვედრი მიმართულებით მოძრავი „ნივა". „ნივიდან" გადმოვიდა ქიშმარია და იგი ესაუბრებოდა აბსანძეს. მათ საუბარს შევუერთდი მეც. აქ გავიგე, რომ ქიშმარიამ შეასრულა პირობა და ჩვენს დასახმარებლად მოყავდა „ბოევიკები" და მძიმე ტექნიკა. აქვე დავაზუსტებ, რომ ჩვენს მანქანების კოლონას წინ შემოხვდა ქიშმარიას „ნივა". ამიტომ შევჩერდით გზაში, გადმოვედით მანქანებიდან და ამის შემდეგ. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ ჩაგვიარა აფხაზეთის მხრიდან მომავალმა სამხედრო ტექნიკამ და ავტობუსებმა ისე, რომ ისინი არ შეჩერებულან. როდესაც აბსანძემ გაიგო დამხმარე ძალის შესახებ, მითხრა და მისი წინადადებით მე, აბსანძე, ქიშმარიასთან ერთად დავბრუნდით ზუგდიდში ისე, რომ მანამდე ჩემთვის უცნობ ოჯახში დავაბინავე ჩემი ცოლ-შვილი, მეორე ოჯახში დაბინავდა გამსახურდია და მისი დაცვა.

შემდეგ მოვლენები განვითარდა ისე, როგორც წინა ჩვენებებში მოგახსენეთ და მის გამეორებას აღარ ვთვლი საჭიროდ. გამსახურდიას ზუგდიდიდან გაყვანამდე დაახლოებით ორი-სამი დღით ადრე განმეორებით შევხვდი. ვაცნობე, რომ პრეზიდენტის გაყვანის საკითხი მოგვარებული მქონდა. მას გავიყვანდი კიდეც და შემდეგ კიდევ ვეცდიათ სამი-ოთხი დღე, მოვაგვარებდი შეიარაღებული ფორმირებების მთლიანად გაყვანას და შემდეგ შემოსულიყვნენ სამთავრობო ჯარები სისხლისღვრის გარეშე. მე ზუგდიდი დავტოვე ნოემბრის დასაწყისში, რიცხვი არ მახსოვს. ამ დროისათვის სოფ.ცაიშთან და ჭითაწყართან იდგა დაახლოებით ორმოცდაათი-სამოცდაათი კაცი. ამ ბიჭებმა ჩემი გასვლის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათ იცოდნენ, რომ როცა სამთავრობო ჯარები დაიწყებდნენ წინსვლას, მათ პოზიციები უნდა დაეტოვებინათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ეს მართლაც ასე მოხდა. როცა მე დავბრუნდი აჩიგვარაში ცოლ-შვილთან შესახვედრად, ლაგვილავამ, რომელმაც მე მიმაცილა აფხაზეთის საზღვრიდან სოფ.აჩიგვარაში, მითხრა, რომ ამავე დილით პრეზიდენტი, მისი დაცვა და ჩემი ოჯახის წევრები დაბრუნებულან ზუგდიდში. აფხაზეთის საზღვარზე გამოუცილებიათ მხოლოდ პრეზიდენტი, ჩემი ოჯახი აღარ დაბრუნებულა უკან. დაახლოებით ორი-სამი თვის შემდეგ, უკვე სუზდალში გავიგე კრძოდ, ვისგან აღარ მახსოვს, რომ როცა პრეზიდენტი და აბსანძე დაბრუნებულა ზუგდიდში, დაცვას პრეზიდენტი წაუყვანია სხვა მიმართულებით ისე, რომ აბსანძე აღარ წაუყვანიათ. აბსანძე დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გამოსულა სამეგრელოდან და წასულა მოსკოვში ბათუმის გავლით. თუ რა იყო ამის მიზეზები, რომ აბსანძე აღარ დარჩა გამსახურდიასთან, არ ვიცი. როგორც აბსანძის საუბრიდან ვასკვნი, აფხაზი ბოევიკების ზუგდიდში შემოყვანას ორგანიზაცია გაუკეთა მან, გამსახურდიასთან ერთად. როგორც თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაში ნაჩვენები მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, 1993 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში აფხაზი ბოევიკები და მძიმე ტექნიკა, კვლავ შემოუყვანიათ ზუგდიდში, თუ ვინ გაუკეთა ამას ორგანიზაცია, არ ვიცი. ამ ფაქტის შესახებ მესმის პირველად.

ზაურ გერგედავა იყო ჩვენი შეიარაღებული ფორმირებების სამეურნეო სამსახურის უფროსი. მისი მოვალეობა იყო საჯარისო ფორმირებების მომარაგება სურსათით, ტანსაცმლით და სხვა ასეთით. იგი ასევე აწარმოებდა საჯარისო ნაწილებზე სურსათისა და სხვა სახის პროდუქტების განაწილებას. ქარცხია, რომლის სახელი არ მახსოვს, იყო ჩემი ა/მანქანა გაზ–31-ის მძღოლი. ეს მანქანა თეთრი ფერისაა. ნომერი არ მახსოვს. მანქანა იყო დაზიანებული და ფაქტიურად მე ამ მანქანით არ დავდიოდი. ამიტომ ქარცხიას ჩემს მძღოლად არ ვთვლი. ჩემი მძღოლი იყო სახელად ციქორი. გვარი არ მახსოვს.

ჩემი ჩვენება წავიკითხე. ჩაწერილია ჩემი კარნახით სწორად.

ვ.ქობალია.

გაგრძელება იქნება



# ...ნსახლოთ წარსულს?

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედაქციისაგან:

*„ოქროს საწმისის"* რედაქციასთან დაკავშირება ვერ შევძელით,ვინაიდან გაზეთს ტელეფონი და მისამართი არ აწერია. ბოლოს ვიხდით, რომ ნებართვის გარეშე გადმოვბეჭდეთ ქვემოწარმოდგენილი *მანანა არჩვაძე-გამსახურდიას* წერილის ნაწილი.

თუმცა, თვით ავტორი წერილის დასაწყისშივე ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს უფლებას ამ ვრცელი სტატიის გამოცემისა და გავრცელებისათვის, ეს წერილი ჩვენთვის ერთობ საინტერესო აღმოჩნდა, პირველ რიგში იმით, რომ იგი მისდაუნებურად ეხმიანება ლ.ქობალიას სწორედ იმ ჩვენებას, რომელსაც ამავე ნომერში გთავაზობთ და მეორე, მ.არჩვაძე-გამსახურდიას წერილთან დაკავშირებით სწორედ ჩვენს რედაქციაში გამოგზავნა ციხიდან პასუხი ბატონმა თენგიზ კიტოვანმა.

მკითხველი ამ სამი მასალის, არჩვაძე-გამსახურდიას წერილის, ქობალიას ჩვენებისა და კიტოვანის პასუხის შეჯერებით მხოლოდ ერთ დასკვნას გამოიტანს: ეს ცხოვრება მართლა აბსურდის თეატრი ყოფილა. არაფერი არ ვიცით იმ ამბებისაც კი, რაც ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ვის უნდა ენდო, სად არის სიმართლე, ვინ ვისი კაცი იყო, ვინ ვისი ერთგულებისთვის იხვრიტება, კაციშვილი ვეღარ გაიგებს. რა ხდება საქართველოში? ვინ დაალაგებს ჩვენს ახლო წარსულს?

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია

# როგორ მზადდებოდა შეთქმულება

წერილი „[illegible] მზადდებოდა შეთქმულება" ეკუთვნის ქალბ. [illegible] არჩვაძე-გამსახურდიას. იგი 27 გვერდიანია, დანომრილი, დათარიღებულია 1996წ. III და ხელმოწერილია ავტორის მიერ.
[illegible] ავტორის მიერ [illegible] გამოქვეყნების [illegible] უფლება.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია

ქ. [illegible]
1996წ 28. X.

ხუნტამ საქართველოში დაამყარა უსასტიკესი რეჟიმი. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ტარდებოდა რეგულარული სადამსჯელო ოპერაციები ჯ.იოსელიანის, თ.კიტოვანის, გ.ლანჩავას, გ.ყარყარაშვილის, თ.სიგუას, გ.გულუას, ი.ბათიაშვილის, თ.ხაჩიშვილის, გგოდერძიშვილის, ოლითანიშვილის (საზოგადოება „თბილისელი"), გ.უჩავას, ზ.მჭედლიძის („თბილისელთა საძმო"), აკ.ბაქრაძის (შ.რუსთაველის საზოგადოება) კრიმინალური ბანდების მონაწილეობით. ფსევდო-ეროვნული პარტიები: იჭავჭავაძის საზოგადოება, სახალხო ფრონტთან არსებული შეიარაღებული ბანდა „იმედი" – ნნათაძე, ე.წიკლაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – გ.ჭანტურია ეროვნული დამოუკიდელი პარტია – გ.ჭანტურია ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია – ირ.წერეთელი, მონარქისტული პარტია – თ.ჟორჟოლიანი, ტრადიციონალისტთა კავშირი – ა.ასათიანი, მ.კოსტავას საზოგადოება– ვადამია სოცდემოკრატიული პარტია - გმუჩაიძე მწვანეთა პარტია –ზ.ჟვანია. მილიციის სკოლა (დირექტორი გ.ყანტალიანი), კრიმინალური ბანდა „პატრიოტი", „ბოროტები", საბურთალოს „კულინარიელების" ჯგუფი უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდნენ მოსახლეობას. განსაკუთრებული სისასტიკით დაისაჯა დასავლეთ საქართველო, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონი, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობის დაპირისპირებას საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. სამეგრელო ხუთჯერ დაილაშქრა. არ წყდებოდა ხუნტის საწინააღმდეგო მიტინგები და დემონსტრაციები. მათი მთავარი მოთხოვნები იყო: კანონიერი პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის აღდგენა, ხუნტის მეთაური ე.შევარდნაძის გადადგომა, ყველა ცრუ პოლიტიკურ პარტიასთან და კრიმინალურ დაჯგუფებასთან შეურიგებელი ბრძოლა, პოლიტპატიმრების განთავისუფლება და სხვ.

მოსახლეობა ხუნტას დაუპირისპირდა არა მარტო მიტინგებით და დემონსტრაციებით, არამედ მიმართა დაუმორჩილებლობის სხვა ფორმასაც. თბილისიდან ჩასულ შეიარაღებულ კრიმინალურ ბანდებს მოსახლეობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. გზადაგზა აწყობდა პიკეტებს, ხერგავდა საავტომობილო სარკინიგზო მაგისტრალებს, აფეთქებდა ხიდებს. ხუნტის დაპირისპირება მოსახლეობასთან გადაიზარდა სამხედრო შეტაკებებში. პირველი შეტაკება მოხდა მდინარე ცხენისწყალთან, სადაც გამაგრებული იყო სამტრედიისა და სამეგრელოს მოსაზღვრე ნაწილის მოსახლეობის რაზმები. ხუნტისა და რუსეთის სპეცდანიშნულების სამხედრო ქვედანაყოფებთან უთანასწორო ბრძოლაში, როგორც მოსალოდნელი იყო მოხალისეთა რაზმები დამარცხდნენ, ნაწილი კი განადგურდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების ჯარისკაცები დაუზოგავად ანადგურებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

მეორე შეტაკება მოხდა სოფ.ცაიშთან – მდინარე ჯუმის ხიდზე. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ გ.ყარყარაშვილის შეიარაღებული ბანდა „თეთრი არწივი" და რუსის დაქირავებული „ბოევიკები". ანალოგიური შეტაკებები იყო ზუგდიდში, წალენჯიხაში, ხობში, ჩხოროწყუში, მარტვილში, სენაკში, დაბა ჯვარში, სოფ.ჯიხაშკარში, სოფ. ხუნწში, სოფ. ლიაში, სოფ. რუხში, სოფ. დარჩელში და სხვ. დაუმორჩილებლობას ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც, მაგრამ ხუნტის ყველაზე მეტი სისასტიკე სამეგრელოს დაატყდა თავს.

სამეგრელოს წინააღმდეგობის მოძრაობას ხუნტის სპეცსამსახურებმა სათავეში ჩაუყენა „ლიდერები", რომელთა განსაკუთრებული ძალისხმევით ხდებოდა სიტუაციის ლავირება კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ. ამ მისიას განსაკუთრებით კარგად ართმევდნენ თავს ვალტერ შურღაია, ჯემალ ქობალია, თორნიკე ქირია, მერაბ რაფავა, ზაურ ქობალია, გრიშა ქობალია, რომლებიც ფარულ მოლაპარაკებებსა და გარიგებებს აწარმოებენ ხუნტის წარმომადგენლებთან–ჯ.იოსელიანთან და ვადამიასთან. გარიგება მიზნად ისახავდა სამეგრელოს ტერიტორიაზე ხუნტის ხელისუფლების დამკვიდრებას და ტელეგადაცემების გავრცელებას. ხუნტის გარიგება კრახით დამთავრდა. მოსახლეობის ნაწილმა შეიტყო რა მოსალოდნელი საშიშროება, დაწვა ზუგდიდის სატელევიზიო შენობა და ტელეანძა.

ხუნტის პოლიტიკას განსაკუთრებული გეგმაზომიერებით ახორციელებდა ხუნტის წარმომადგენელი ზუგდიდში ოთარ ფაცაცია. ფაცაციამ შექმნა „წინააღმდეგობის ფრონტი" – ლოთი ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას, ჯემალ ქობალიას, აკაკი ელიავას, სოსო ელენტის, ვალერი გაბელიას, გოჩა ოთხოზორიას და რობიზონ მარგველანის შემადგენლობით. მიუხედავად ამისა, ფაცაცია და მისი აგენტები კონტროლს ვერ უწევდნენ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მათგან დამოუკიდებლად და უკომპრომისოდ აგრძელებდა ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სლავა მინჯია და მისი თანამებრძოლები, რომელთაც მოსახლეობაში გაითქვეს სახელი, როგორც უკომპრომისო და შეურიგებლებმა. სლავა მინჯიას პრეზიდენტის ერთგულება არ აპატიეს ხუნტის მოსყიდულმა ჯაშუშებმა დაპირისპირებამ ადრევე იჩინა თავი. სიტუაციის სრული გაკონტროლება მოითხოვდა სლავა მინჯიას ფიზიკურ განადგურებას. ამის მიზეზი გახლდათ ხუნტის მიერ დაგეგმილი „ოპერაცია" ტელევიზიის აღებასთან დაკავშირებით 1992 წლის 24 ივნისს. ჭეშმარიტი ქართველი, სულით მებრძოლი და მოუსყიდავი ვერ შეეგუებოდა იმ განაჩენს, რომელიც ხუნტამ 24 ივნისს პრეზიდენტის მომხრეებს გამოუტანა. ჩატარებული პროვოკაციის საპასუხოდ სმინჯიამ საკადრისი პასუხი გასცა ხუნტას, კერძოდ, 1992 წლის 6 ივლისს ქწალენჯიხაში მან ალყაში მოაქცია ხუნტის ჯალათები, რომლებიც 24 ივნისის „აქციით" გათამამებულები გამუდმებით აწიოკებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ეს იყო ერთ-ერთი პირველი წარმატებული აქცია ხუნტის წინააღმდეგ, რომელმაც ბიძგი მისცა ახალ ტალღას.

ხუნტის ადგილობრივ ჯაშუშებს ვალტერ შურღაიას, ჯემალ ქობალიას, ლოთი ქობალიას, ზაურ ქობალიას, გოჩა ოთხოზორიას, გრიშა ქობალიას, ოთარ ფაცაციას, თორნიკე ქირიასა და სლავა მინჯიას შორის არსებულმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია 1992 წლის აგვისტოში. ზუგდიდში ერთ-ერთ ხალხმრავალ მიტინგზე მოღალატე ვალტერ შურღაიამ მიმართა მომიტინგეებს, სადაც გმობდა იმ პიროვნებებს, რომლებიც ატყვევებდნენ ჯაშუშებად შეგზავნილ ხუნტის წარმომადგენლებს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში. ვშურღაია კატეგორიულად იცავდა ჯაშუშებს, რითაც დეზინფორმაცია შეჰქონდა მოსახლეობაში და მოითხოვდა მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. რასაც მომიტინგეების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. დაპირისპირება ხუნტის აგენტურასა და პრეზიდენტის მომხრეებს შორის გამოიკვეთა. ცხადი გახდა, ხუნტა სამეგრელოში სიტუაციას ბოლომდე ვერ აკონტროლებდა. სამწუხაროდ, სლავა მინჯიას, როგორც პრეზიდენტის ერთგულსა და ჭეშმარიტ მომხრეს, სასტიკი განაჩენი გამოუტანეს, 1992 წლის 22 ნოემბერს ზუგდიდის რაი-მილიციის შენობა, სადაც უნდა ჩატარებულიყო კანონიერებისათვის მებრძოლ შეიარაღებულ ფორმირებათა მეთაურების შეხვედრა, დილის 5 საათზე აფეთქებული იქნა ლოთი ქობალიას და მისი ბანდის მიერ, რომელშიც მონაწილეობდნენ შევარდნაძის სადაზვერვო საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები და ხუნტის აგენტურა. შენობაში იმყოფებოდნენ, სლავა მინჯია, კახა ვაწაძე და ბიძაშვილები ყურუები ქფოთიდან.

სლავას ლიკვიდაციით ლოთი ქობალიას ხელი გაეხსნა ხუნტასთან თავისუფალ და უკონტროლო მუშაობაში.

ლოთი ქობალიამ ჯერ კიდევ 1991–92 წლის დეკემბერ-იანვრის პუტჩის დღეებში უღალატა პრეზიდენტს და გაითამაშა ხუნტასთან ერთად დაწერილი სცენარის ერთ-ერთი ეპიზოდი. ლ.ქობალია „ოპერაციის" შესრულების დროს ფეხში „დაჭრეს" მაშინ, როდესაც პრეზიდენტის ერთგულები თავში სასიკვდილო ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალნენ. სამაგიეროდ, ქობალიამ, ხუნტასთან მუდმივი კავშირის წყალობით, ყველა დაგეგმილი ოპერაცია ჩაშალა. ქობალია „ავადმყოფობის" გამო გადაყენებული იქნა. საჭირო შეიქნა ახალი სამხედრო შტაბის უფროსის დანიშვნა. ჯერ დაინიშნა გ.ლაკია, რომელიც რამოდენიმე საათში გაანთავისუფლეს და მის ნაცვლად დანიშნეს გია უჩავა. როგორც ხუნტის ყველაზე სანდო და პროფესიონალური აგენტი, რომელიც პრეზიდენტის საქართველოდან გასვლამდე დარჩა ამ თანამდებობაზე. რაც შეეხება სამხედრო შტაბის შემადგენლობას, მისი უმეტესი ნაწილი ხუნტის აგენტი აღმოჩნდა: გ.ქუთათელაძე, დ.ხაბულიანი, ზ.კოპალიანი, მ.რაფავა, გ.უჩავა, ვჭელიძე, ჯ.ქობალია, ნ.გიორგაძე, თ.ნინუა და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ლოთი ქობალია ფარულ კავშირში იყო ხუნტასთან, კერძოდ, ფაცაციასთან. „უძლეველი" ლ.ქობალიას შიშით ხუნტას დასავლეთ საქართველო აღარ უნდა დაელაშქრა, სამაგიეროდ, ო.ფაცაციასაგან ლ.ქობალია, ვ.შურღაია, ზ.ქობალია, გრ.ქობალია, რ.მარგველანი, ს.ელენტი, ა.ელიავა, ს.ირემაძე, გუჯუჯი ებრალიძე, გ.ოთხოზორია, ანზორ ჩხეიძე, ჯ.ბოკუჩავა, რეზო გერლიანი, იური ბაძაღუა, რეზო გვირგვლიანი შესაფერის გასამრჯელოს ღებულობდნენ. დასავლეთ საქართველოში რადიკალურად შეცვალეს პოლიტიკა, ხუნტა აღარ არბევდა მიტინგებსა და მოსახლეობას. გამოდიოდა გაზეთი, მოსახლეობამ დროებით ამოისუნთქა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მთელ საქართველოში სამეგრელოს რეგიონმა სძლია ხუნტას, რით? ამას არავის კითხულობდა. ალიანსის შესანიღბავად დაიწყო ლ.ქობალიას „წინააღმდეგ" გადაცემები ხუნტის ტელევიზიით, პრესაში იბეჭდებოდა ურთიერთდაპირისპირებული სტატიები, რომელიც გამიზნული იყო მოსახლეობის დასაბნევად. ფაქტიურად კი შევარდნაძემ ზუგდიდში შექმნა მეორე ხუნტა ლ.ქობალიას და მისი ბანდის სახით. როდესაც ყველაფერიააწყვეს, ო.ფაცაცია ზუგდიდს მოაშორეს და გადაიყვანეს თბილისში ხუნტის პრემიერ-მინისტრად. ამით ხუნტამ „მამებელი" ნაბიჯი გადადგა მეგრელების მიმართ. სინამდვილეში კი ფაცაციას ზუგდიდში გაჩერება უკვე ზედმეტი იყო. შეიძლება გაშიფრულიყო ლ.ქობალიასა და ფაცაციას კავშირი. ფაცაციას გადაყვანით ლ.ქობალიას პიროვნული უშიშროება გარანტირებულ იქნა ლ.ქობალიას გაუყვანეს პირდაპირი სატელეფონო ხაზი თბილისთან, რითაც შესაძლებლობა მიეცა შეფებთან უშუალო დაკავშირების. უნდა აღინიშნოს, რომ დაფიქსირებულია შევარდნაძისა და ქობალიას ორი სატელეფონო საუბარი, რომელიც შემდეგნაირად მთავრდება: „ყოჩაღ! ლოთი! გაკოცებ" წარმოიდგინეთ მკითხველო, ლ.ქობალიას ვერაგობამ შევარდნაძის კოცნაც კი დაიმსახურა.

მოტყუებული მოსახლეობა იმედის თვალით შეჰყურებდა ლ.ქობალიას და მისი მადლიერნიც იყვნენ. თვლიდნენ, რომ დროებითი სიმშვიდის დამყარება სამეგრელოში ლ.ქობალიას დამსახ-

გაგრძელება მე-6 გვ.

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია

# როგორ მზადდებოდა შეთქმულება

მე–5 გვერდიდან

ურება იყო. ხუნტამ ო.ფაცაცია შეცვალა თ.კიტოვანით, ა.აბაშიძით და გ.ფიფიათი (გ.ფიფია გახლავთ სუკ-ის გენერალი, რომელიც მოღვაწეობდა რუსეთსა და უცხოეთში). აგენტურა კი ავრცელებდა ხმებს, თითქოს ეს პიროვნებები ოპოზიციაში ედგნენ შევარდნაძეს. თ.კიტოვანი და ა.აბაშიძე აფინანსებდნენ და აიარაღებდნენ ლ.ქობალიას, სამაგიეროდ აკონტროლებდნენ კიდეც. მთელ საქართველოში გავრცელდა ხმა ლ.ქობალიას შეიარაღებაზე, რომელიც მალე დაიწყებდა იერიშს ხუნტის წინააღმდეგ. რაც შეეხება ასლან აბაშიძეს, იგი გამოჰყავდათ პრეზიდენტის ერთგულად და ყოველგვარი დახმარება, რომელსაც ლ.ქობალიას უწევდა, თითქოს ხუნტის გვერდის ავლით ხდებოდა. სინამდვილეში აბაშიძეს პირდაპირი კავშირი ჰქონდა არა მარტო შევარდნაძესთან, არამედ რუსეთის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან. რადგან ასლან აბაშიძეზე შევჩერდით, ბოლომდე უნდა ვაღიაროთ მისი „დამსახურება" პრეზიდენტის წინაშე. დეკემბერ-იანვრის პუტჩის დაწყებიდან ბოლომდე არავითარი კონტაქტები არ ჰქონია პრეზიდენტთან. პირიქით, აჭარაში „სამკურნალოდ" ჩასულ აკაკი ასათიანთან ერთად მოახდინა მოსახლეობის დეზინფორმირება. პრეზიდენტი მოსახლეობას მოუწოდებდა თანადგომისა და კანონიერი ხელისუფლების დასაცავად, ა.აბაშიძე და აკ.ასათიანი კი აჭარაში გამართულ მიტინგებზე სრულიად საპირისპიროდ მოქმედებდნენ. მათი დამსახურებით მოხდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შეჩერება, რომელნიც თბილისში ჩამოსვლას, პრეზიდენტისა და პარლამენტის დაცვას აპირებდნენ. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობის შემდეგ აბაშიძემ აჭარა აუღებელ ზონად გამოაცხადა. ამას მიაღწია რუსის ჯარის წყალობით, რომელიც დღესაც დგას აჭარის ტერიტორიაზე, მოსახლეობას კი ყოველმხრივ ტერორიზებას უწევდა, თითქოს ყოველდღიურად მოსალოდნელი იყო კიტოვან-იოსელიანის ბანდების შეჭრა. ვითარება კი სულ სხვა იყო. ხუნტა არც აპირებდა აჭარის ტერიტორიის დალაშქვრას. კიტოვანი და იოსელიანი თავის წილს ასლან აბაშიძისაგან ყოველთვიურად ისედაც ღებულობდნენ. არც დროსგასატარებლად ჩასულ „მხედრიონელებს" და „გვარდიელებს" აკლდათ ყურადღება. ყოველივე ამის დასტური იყო ორი ავტომანქანა „ლინკოლნი", რომელიც საჩუქრად უძღვნა ასლან აბაშიძემ მოღალატესა და გამყიდველ კიტოვანს. ყველა ქართველს კარგად ახსოვს, ალბათ, საქართველოს პრეზიდენტის ზგამსახურდიას ყბადაღებული ავტომანქანა „მერსედესი", რომელიც ხუნტამ ბრალდებად წარუდგინა, სინამდვილეში ყიდვის დღიდან იმ „მერსედესით" ასლან აბაშიძე დაბრძანდებოდა. იმ მოტივით, თითქოს მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ასლან აბაშიძეს დღემდე არ უცდია გაეკეთებინა ერთი საპროტესტო განცხადება ხუნტის ცრუ ბრალდებასთან დაკავშირებით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის ქგროზნოში ყოფნისას აბაშიძე ხშირად უკავშირდებოდა ტელეფონით პრეზიდენტ ჯ.დუდაევს, რამდენიმე ვიზიტიც ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ მას ზვიად გამსახურდია არც გახსენებია. აბაშიძეს დაავიწყდა, მავანთა წყალობით როგორ აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო კომბინატიდან აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ა.აბაშიძეს იქნებ ჰგონია, რომ საქართველოს ისტორია გვერდს აუვლის 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენებს. ყოველივე იმას, რაც მან გააკეთა ხუნტის გადასარჩენად, კერძოდ, მისი ინიციატივით საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა და მებრძოლთა წინააღმდეგ ბათუმიდან ქუთაისის მიმართულებით გამოგზავნა ორმოცდაათი ჯავშანტრანსპორტიორი შესაბამისი შეიარაღებითა და ხუთასკაციანი საბრძოლო ეკიპაჟით, რომელთაც სოფელ დაფნართან დაიწყეს მანევრირება და სროლა პროვოკაციის მიზნით. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, ასლან აბაშიძემ არსებული შეიარაღება გაუგზავნა იმერეთის ხუნტის მეთაურს თ.შაშიაშვილს ქქუთაისის გასამაგრებლად. ეს ხომ ის ასლან აბაშიძეა, აჭარისაკენ მიმავალი ყველა გასასვლელი რომ გადაუკეტა ზვიად გამსახურდიას, როდესაც რუსეთის სამხედრო ძალები - შავი ზღვის სამხედრო საზღვაო ჯარები, ამიერკავკასიის სპეცდანიშნულების სმხედრო ქვედანაყოფები, რუსეთის არმიის ფეხოსანთა დივიზია, სამხედრო საჰაერო-სადესანტო ორი პოლკი, საქართველოს ხუნტის ყველა შეიარაღებული ბანდა პრეზიდენტის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, რაც ზვიად გამსახურდიას სიკვდილით დასრულდა. ამიტომ ბრძანდება ხელშეუხებელი ა.აბაშიძე როგორც ხუნტის, ისე რუსეთისაგან, მაგრამ მოღალატისა და გამყიდველის სახელით სიარული თუ საამაყოა, ამ კითხვას ისტორია უპასუხებს.

სამეგრელოში სპეციალურად შექმნილმა სიტუაციამ მოსახლეობა დააბნია. ბევრი დეპუტატი და მთავრობის წევრი წამოეგო ამ ანკესს. მათ ირწმუნეს, რომ სამეგრელო „უძლეველი" ზონა იყო, რომელსაც ლ.ქობალიას წყალობით დიდძალი შეიარაღება ჰქონდა და მებრძოლებიც საკმაო რაოდენობით ჰყავდა. ამიტომ უმრავლესობამ ქ.ზუგდიდს მიაშურა. შეიქმნა დაუმორჩილებლობის კომიტეტები, სადაც ადგილობრივი წარმომადგენლების გარდა თბილისიდან შეგზავნილი აგენტურა მოქმედებდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხუნტის ჯაშუშები: ნინო რატიშვილი-მაისურაძე, შაკა რაზმაძე, ნინო გიორგობიანი, თამარ ძნელაძე, თამარ ლომიშვილი და სხვ. ისინი მებრძოლებში დაზვერვისა და ჯაშუშობის მიზნით მიავლინა ხუნტამ. თამარ ძნელაძე და ნინო გიორგობინი საბოლოოდ შეუერთდნენ პრეზიდენტის დაცვას და გარკვეულ დრომდე თავის მისიას ასრულებდნენ.

1993 წლის აგვისტო-სექტემბერში ქგროზნოში სიარული გაააქტიურეს ლ.ქობალიამ და მისი ბანდის წევრებმა: ვგაბელიამ, გ.აბსანძემ, ტ.გელანტიამ, გ.მამფორიამ, ბ.მელაძემ, თ.ვაშაძემ და სხვა. ცდილობდნენ პრეზიდენტის დარწმუნებას, თითქოს ყველაფერი მზად იყო ხუნტაზე იერიშის მისატანად. პრეზიდენტის მოტყუება ვერ შესძლეს, რადგან სრული ინფორმაცია ჰქონდა ლ.ქობალიას მოღალატეობასა და ჯაშუშობაზე. მაგრამ გროზნოში გადამჭრელი ზომების მიღება არ შეიძლებოდა, ვინაიდან ლ.ქობალიას-მის ბანდას მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მოტყუებული ჰყავდა. ეს კი გამოიწვევდა მოსახლეობაში დაბნეულობას. საჭირო იყო ქ.ზუგდიდში ჩასვლა და ყველაფრის ადგილზე გადაწყვეტა. ვინც თვალს ადევნებდა მაშინდელ პრესას, უთუოდ გაახსენდება კიტოვანის ბინძური გამოსვლები პრეზიდენტის წინააღმდეგ. პარალელურად ამისა, იგივე კიტოვანი აიარაღებდა ზვიად გამსახურდიას „სარდალ" ლ.ქობალიას. რა მიზნით ხდებოდა ყოველივე ეს? მიზანი ერთი იყო: ქობალია, უნდა შეეიარაღებინათ დროულად, რათა პრეზიდენტის ჩასვლა დაეჩქარებინათ. ასეც მოხდა. ლ.ქობალია და მისი „გვარდია" მზადყოფნაში იყო, რის დასადასტურებლად 1993 წლის 9 აპრილს „აღლუმიც" მოაწყო.

კიტოვანი ბოლომდე აგრძელებდა მასზე დაკისრებული მისიის შესრულებას - საქართველოსა და პრეზიდენტისადმი ღალატს. თვალის ასახვევად კი შევარდნაძის „ოპოზიციას" შეუერთდა. არსებობს კიტოვან-ქობალიას ვერაგული გარიგების დოკუმენტი, რომელიც გაფორმდა 1991 წლის ნოემბერში, ჯერ კიდევ ქთბილისში ყოფნისას, როდესაც კიტოვანის ბანდა დასახლდა თბილისის ზღვაზე. ლოთი ქობალიამ წერილობითი პირობა მისცა კიტოვანს, რომ მის წინააღმდეგ იარაღს არ აღმართავდა, კიტოვანიც თავის მხრივ ლ.ქობალიას ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა. „ოპოზიციონერი" კიტოვანი საქართველოს ღალატისათვის შევარდნაძემ დავით აღმაშენებლის ორდენით დააჯილდოვა. შემდგომ კი აფხაზეთის „გმირიც" უნდა გამხდარიყო. შევარდნაძემ და რუსეთმა კიტოვანი, როგორც ჯაშუში და მოღალატე, როდესაც ყველაფერი გააკეთებინეს და დაასრულეს პრეზიდენტთან დაკავშირებული ბინძური ოპერაცია, მოიშორეს (ეს ხომ ყველა მოღალატის ბედია!)

ლ.ქობალიას შეიარაღებაზე, „გვარდიის" მომზადებაზე პრეზიდენტს მუდმივ „ინფორმაციას" აწვდიდნენ გ.აბსანძე, ტგელანტია, ვგაბელია, თ.ვაშაძე, ზ.ქობალია, რომლებიც პრეზიდენტის ხშირი სტუმრები იყვნენ. პრეზიდენტმა არაერთხელ მიმართა მათ შეკითხვით, ლ.ქობალიას საქციელი ეჭვს ხომ არ იწვევდა მათში? ტარიელ გელანტიამ შეკითხვაზე ასე უპასუხა: „ბ-ნო ზვიად! ლოთი ქობალიას ღალატი რომ შენიშნონ გვარდიელებმა, რომელთა უმრავლესობა ჩვენი ნათესავები, ახლობლები და მეზობლები არიან, ღალატს არ აპატიებენ და მაშინვე შუბლში ტყვიით გაუმასპინძლდებიან". ეს ისე დამაჯერებლად თქვა ტგელანტიამ, რომ გაუცნობიერებელი ადამიანი მართლა დაიჯერებდა ასეთ ურცხვობას.

უნდობლობა კიდევ უფრო ღრმავდებოდა. პრეზიდენტი სრულ ინფორმაციას ღებულობდა ლ.ქობალიასა და მის „გვარდიაზე". გარდა ღალატისა, იქ იყო ქაოსი, უდისციპლინობა, ჯაშუშობა, ფეხი მოიკიდეს ნარკომანებმა და მოსახლეობის მძარცველებმა. გროზნოდან პრეზიდენტი რამოდენიმეჯერ დაუკავშირდა ლ.ქობალიას და განთავისუფლებით დაემუქრა. მუქარას კი ქობალიას დამქაშების აბსანძის, გელანტიას, გაბელიას, ზ.ქობალიას ვიზიტები მოჰყვა. პრეზიდენტმა ქ.ზუგდიდში 1993 წლის აგვისტო-სექტემბერში ორჯერ გაგზავნა გ.აბსანძე სრული ინფორმაციის ჩამოსატანად, ნაცვლად ინფორმაციისა, დეზინფორმაცია ჩამოჰქონდა, ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო პრეზიდენტის ჩასვლა საქართველოში, თორემ უქმად მყოფი გვარდიელები ვეღარ გაუძლებდნენ ასეთ მდგომარეობას და დაიწყებოდა მათი დემორალიზაცია. ყოველივე ამას დაემატა ვგაბელიას, ბადრი მელაძის და რობიზონ მარგველანის გადაჭარბებული სტუმრობა ქ.გროზნოში 1993 წლის სექტემბერში. ვალერი გაბელიამ პრეზიდენტს გადასცა სამხედრო შტაბის წევრების თხოვნა, რომელიც ითვალისწინებდა პრეზიდენტის ჩასვლას ქ.ზუგდიდში ოჯახის გარეშე (აქ ყოველგვარი კომენტარები ზედმეტია!) ასლან აბაშიძემ სპეციალური თვითმფრინავი გამოჰყო რეისით ბათუმი-გროზნო. ჯაშუშები დეზინფორმაციითა და ლ.ქობალიას „დიდი შესაძლებლობებით" ცდილობდნენ პრეზიდენტის დაინტერესებას. ამ პერიოდში თავი იჩინა ლ.ქობალიასა და ასლან აბაშიძის ურთიერთობის გააქტიურებამ. გახშირდა შეხვედრები ბათუმსა და ზუგდიდს შორის, რაც ძვირფასი საჩუქრების გაცვლით მთავრდებოდა. ყველაფერი კეთდებოდა ლ.ქობალიას რეაბილიტაციისათვის. ამას დაემატა ზაურ ქობალიას და მისი დაჯგუფების გააქტიურება, რასაც წინ უძღოდა ქ.ზუგდიდში გამუდმებული მიტინგები. 1993 წლის 2 სექტემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ასე ეყრებოდა საფუძველი პრეზიდენტის საქართველოში ჩასვლას. 1993 წლის 24 სექტემბერს გ.აბსანძე სპეციალურად დაქირავებული თვითმფრინავით ქგროზნოში ჩამოფრინდა, რასაც მოჰყვა პრეზიდენტის გამგზავრება საქართველოში. ზვიად გამსახურდიას ქგროზნოდან მეგზურობას უწევდნენ დაცვის წევრები, ხოლო მთავრობის წევრებიდან იყო გ.აბსანძე. დღის 3 საათზე თვითმფრინავი სენაკის აეროდრომზე დაფრინდა, საიდანაც პრეზიდენტი გაემართა ქ.ზუგდიდში. პრეზიდენტი შეჩერდა ქ.ზუგდიდის ყოფილი ქალაქკომის შენობაში, რომელიც იმჟამად კანონიერი ხელისუფლების რეზიდენცია იყო. იქ უკვე იმყოფებოდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მთავრობის წევრები (არასრული შემადგენლობით).

პრეზიდენტის ჩასვლის ამბავი მაშინვე შეიტყო მოსახლეობამ. საათნახევარში ქ.ზუგდიდის გროზნოს მოედანზე შეიკრიბა ასიათასამდე კაცი, მიტინგი გრანდიოზული იყო. მოსახლეობა ოვაციებით შეეგება დიდი ხნის მონატრებულ პრეზიდენტს. პრეზიდენტი მიესალმა მოსახლეობას და მიულოცა კანონიერების აღდგენა, უსურვა კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მიუსამძიმრა კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს, მოსახლეობას გააცნო საქართველოში არსებული სიტუაციის სირთულე და პრობლემები, მოუწოდა ხუნტას გადადგომისაკენ. სიტყვა დაასრულა მაცხოვრის სიტყვებით „რამეთუ ყოველთა აღიღონ მახვილი. მახვილთა წარწყმდნენ".

1993 წლის სექტემბერში, პრეზიდენტის საქართველოში ჩასვლამდე, დასავლეთ რეგიონში მდგომარეობა ასეთი გახლდათ: კანონიერი ხელისუფლება ვრცელდებოდა აფხაზეთის ნაწილზე (გალის რაიონი), სამეგრელოზე მთლიანად (ქფოთის გარდა) და იმერეთის ნაწილზე (სოფ. დაფნარამდე), სამდმინისტრაციო ცენტრებში შექმნილი იყო კომენდატურები, ხოლო წინააღმდეგობის ხაზზე გამაგრებულები იყვნენ კანონიერებისათვის მებრძოლთა ქვედანაყოფები.

16 სექტემბრიდან, აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლების შემდგომ, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. პრეზიდენტის ერთგული გვარდიის თითქმის 90% ჩაერთო საბრძოლო ოპერაციებში ძირითადად სოხუმის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გალის რაიონებში. ლოთი ქობალიას მითითებით წინააღმდეგობის ხაზებიდანაც მოიხსნა პრეზიდენტის ერთგული სამხედრო რაზმები და 1993 წლის 24 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაუცველ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მდგომარეობა გართულდა 30 სექტემბერს, როდესაც აფხაზ-სეპარატისტები რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებთან ერთად ენგურს მიადგნენ. ქ.ზუგდიდისაკენ, სადაც პრეზიდენტი იმყოფებოდა, გზა ხსნილი იყო ყველა მიმართულებით. სიტუაციის გამოსასწორებლად პრეზიდენტმა გასცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც ყველა შენაერთი უბრუნდებოდა თავდაპირველი დისლოკაციის ადგილებს, მაგრამ აფხაზეთში წარუმატებლობამ ადრე საბრძოლოდ განწყობილ მეომრებში ბრძოლისუნარიანობა დასცა, რასაც ზედ დაერთო ლტოლვილთა ტალღა, რამაც ტრაგიკული განწყობა და საერთო ქაოსი გამოიწვია. პრეზიდენტი ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. 1993 წლის 30 სექტემბერს იგი შეხვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებს და მოუწოდა გასულიყვნენ ხალხში, ემუშავათ მებრძოლებთან. აფხაზეთიდან გადმოსულ საბრძოლო ბრიგადების მეთაურებთან გაწეულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. აფხაზეთის დამცველთა დიდი ნაწილი, რომელიც სამეგრელოში ნაშთების სახით აღმოჩნდნენ, პრეზიდენტის გვერდით დადგა. დაიწყო მზადება იერიშისათვის ხუნტის წინააღმდეგ. ლოთი ქობალია თავიდანვე წინააღმდეგი იყო იმერეთში გადასვლისა, იმერეთის მოსახლეობა, ისევე როგორც სხვა დანარჩენი საქართველო, მოუთმენლად ელოდა ხუნტისაგან განთავისუფლებას და კანონიერების აღდგენას. ლოთი ქობალია ყოველნაირად უშლიდა ხელს სამეგრელოდან გასვლას. ნათელი იყო გარიგების შინაარსი ქობალიასა და ხუნტას შორის: დასავლეთ საქართველოში ხუნტა არ შემოვიდოდა, მაგრამ არც ლ.ქობალიას უნდა დაეშვა ხუნტის „ტერიტორიაზე" კანონიერების აღდგენა. მოსახლეობის გაკვირვებას იწვევდა ლ.ქობალიას ქმედება პრეზიდენტის ჩასვლამდე. ის პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების ინიციატორი იყო და ბრაზობდა ზოგიერთების მიმართ, ვინც პრეზიდენტის ჩასვლას ნაადრევად მიიჩნევდა. იგი ამბობდა: „მე პრეზიდენტს საქართველოში ჩამოსვლას ვუთვლი წერილობით და სიტყვიერად, ხოლო ისინი ნაცვლად დანაბარებისა, პრეზიდენტს საწინააღმდეგოს ურჩევენო". იმ პიროვნებებს ის დასჯით ემუქრებოდა.

პრეზიდენტი საქართველოში ჩასვლის დღიდან მოითხოვდა ხუნტის გადადგომას, რასაც ლ.ქობალია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა: ყოველნაირად გაურბოდა ხუნტასთან აშკარა დაპირისპირებას. მიუხედავად ლ.ქობალიას მცდელობისა, სამხედრო შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება: ხუნტისგან უნდა განთავისუფლებულიყო საქართველოს მოსახლეობა. დაისახა საბრძოლო ამოცანა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ქ.ფოთის განთავისუფლება, რაც განხორციელდა ოქტომბრის დასაწყისში. იზოლაცია მოიხსნა. კანონიერ ხელისუფლებას ზღვაზე გასასვლელი ჰქონდა.

კანონიერი გვარდია და მოსახლეთა ჯგუფები სამი მიმართულებით განაგრძობდნენ წინსვლას: პირველი ფოთი-გურია, მეორე ქუთაისის მიმართულებით, მესამე ხონი-წყალტუბო.

16 ოქტომბრისათვის ხუნტისგან განთავისუფლდა სამტრედია-ხონი და წყალტუბოს ნაწილი. ქუთაისისკენ გზა ხსნილი იყო. კანონიერი გვარდიის ნაწილები ქქუთაისის გარშემო განლაგდნენ. 17 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა ლოთი ქობალია დაიბარა გვიან საღამოს. ქობალია არ გამოცხადდა დათქმულ ადგილას. პრეზიდენტმა იგი კვლავ დაიბარა, მაგრამ ლ.ქობალიამ იმ ღამესაც აარიდა თავი შეხვედრას. გადაწყვეტილება მიღებული იყო - კანონიერი გვარდია უნდა შესულიყო ქქუთაისში. მოხდა სრულიად საწინააღმდეგო მანევრი, ნაცვლად ქუთაისისა გურია-იმერეთის პოლკი გურიაში გადავიდა. მკითხველისთვის უკვე ნათელია, თუ რატომ არ გამოცხადდა პრეზიდენტთან ქობალია 17 ოქტომბერს. ყურადღებას იქცევს სხვა დეტალიც. 18 ოქტომბერს პრეზიდენტის რეზიდენციის წინ ლ.ქობალია ესაუბრებოდა ჟურნალისტებს (საინტერესოა, რა უნდოდა ლოთი ქობალიას ქ.ზუგდიდში, როდესაც კანონიერი გვარდია გურია-იმერეთში იბრძოდა). ამ დროს რეზიდენციის შენობიდან ვიღაცამ შეკრებილ ხალხს ქუთაისში კანონიერი ხელისუფლების აღდგენა მიულოცა, მსგავსი ინფორმაცია გადაუცია ხუნტის ტელევიზიას. ხალხი დიდი ოვაციითა და სიხარულით შეხვდა ამ ცნობას, როდესაც. ლ.ქობალიამ საყოველთაო ოვაციის მიზეზი შეიტყო, მან შეკრებილთ უყვირა: „ეს არასწორია და პროვოკაციებს თავი დაანებეთო". უფრო მეტიც, ის სპეციალურად ჩავიდა ქფოთში და პრეზიდენტს მოახსენა ყოველივე მომხდარის შესახებ და მოითხოვა იმ პიროვნების დასჯა, ვინც ხალხს შეცდომით მიულოცა ქუთაისის განთავისუფლება. ამ მცირე დეტალიდან ნათლად ირკვევა ლოთი ქობალიას გარიგების შინაარსი ხუნტასთან. რატომ უნდა სწყენოდა ლოთი ქობალიას კანონიერი გვარდიის შესვლა ქუთაისში? პასუხი ერთია: შევარდნაძესთან შეთანხმებული მოღალატური გარიგება ამგვარ ქმედებას კრძალავდა, არ ითვალისწინებდა არათუ ქუთაისის განთავისუფლებას, არამედ ამის ხსენებაც კი ეკრძალებოდა. ამიტომ შევიდა 18 ოქტომბერს გურია-იმერეთის პოლკი ქუთაისის ნაცვლად ლანჩხუთსა და ოზურგეთში. ზუსტად რომ ვთქვათ, არ შესრულდა პრეზიდენტის ბრძანება, რაშიც რიგით მეომრებს არავითარი დანაშაული არ მიუძღვით. მოღალატური საქციელი ჩაიდინეს ლ.ქობალიამ და სოსო ჟღენტმა, ანუ მეთაურებმა, რომელთა უმრავლესობაც, როგორც წესი, ხუნტის მიერ მოსყიდული აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასუხი ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას

წავიკითხე ქალბატონ მანანა არჩვაძის წერილი გაზეთ „ოქროს საწმისის" ფურცლებზე. ამ წერილის არსებობა ჩემთვის ცნობილი იყო და დიდი ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის, ვინაიდან ვიცოდი რა, შევარდნაძე აპირებდა ახალი პოლიტიკური ტალღის აგორებას ჩვენს და „ზვიადისტების" წინააღმდეგ. იგი ახლაც ცდილობს, რომ დეკემბერ-იანვრის მოვლენები გამოიყენოს თავის სასარგებლოდ და მან თვითონ მისცეს პოლიტიკური შეფასება დეკემბერ-იანვრის მოვლენებს საქართველოში, გამოიყენოს მანანა არჩვაძის მდგომარეობა, ჩამოიყვანოს იგი თბილისში, რაც მიმდინარეობს უკვე შევარდნაძის აგენტურის მეშვეობით. მერე დაანახოს იმ ოპოზიციას, თუ როგორ მოევლინა შევარდნაძე საქართველოს მხსნელად. თუ არა შევარდნაძე ზვიადისტები და ოპოზიცია გაანადგურებდნენ საქართველოს. ყველაფერი, რაც ხდება დღეს საქართველოში, ზვიადისტებს დააბრალეს და აბრალებს აფხაზეთის დაკარგვას და ამ ბრალდებით დაახლოებით 100 კაცამდე იხდის სასჯელს, როგორც სამშობლოს მოღალატე. ეს ის ხალხია, ქალბატონო მანანა, რომლებიც ზვიადს გვერდზე ედგნენ და მის გულისთვის თავს წირავდნენ და დღესაც მისი იდეოლოგიით ცხოვრობენ. თქვენ კი მათ გამყიდველებს ეძახით. ეს როგორ გავიგოთ, თუ არა როგორც შევარდნაძის ნაკარნახევი პოლიტიკისა თქვენს მიმართ. ეს როგორ გავიგოთ, ქალბატონო მანანა, რომ მთელ ეროვნულ მოძრაობას გამყიდველებს ეძახით. შევარდნაძემ გამოთქვა ერთხელ ეს აზრი და მთელ ეროვნულ მოძრაობას ცრუ ეროვნული მოძრაობა უწოდა. აქედან შეიძლება ადვილად ლოგიკური დასკვნის გამოტანა, ქალბატონო მანანა, რომ თქვენ და შევარდნაძე ერთ ტოტზე ზიხართ და ებრძვით ეროვნულ მოძრაობას. ვინც თქვენ ჩამოთვალეთ და მტრებად იხსენიებთ, საქართველოში მეტი არავინ არ არის ეროვნული მოძრაობის ლიდერები. კარგები არიან თუ ცუდები, ეს შემორჩა მთელ საქართველოს და ესენი არიან დღეს, რომლებიც წარმოადგენენ შევარდნაძის ოპოზიციას. რაც შეეხება ჩემს მიმართ ლანძღვას, მე არ მწყინს, რადგან გასაგებია თქვენი მდგომარეობა – ემიგრაციაში ყოფნა ძნელია ორი ბავშვით, მაგრამ თქვენ რომ დაბრუნებულიყავით საქართველოში, ხმის ამომღები არავინ იყო და დღესაც არავინ ხმას არ ამოიღებს. პირიქით, ზვიადის მეუღლეს და მის შვილებს, მე მგონი, საქართველო მოუვლის და ყველა ოპოზიციონერის ვალი იქნება, რომ ზვიადის ოჯახს მიხედოს. მე არა მგონია, ქალბატონო მანანა, რომ თქვენ ქმრის მკვლელს გვერდზე დაუდგეთ. როგორი დაძაბულიც არ უნდა ყოფილიყო ჩემსა და ზვიადს შორის მდგომარეობა, მე ზვიადის მკვლელობა არ მიფიქრია, ჩემო მანანა. ეს, ალბათ, ჩემზე უკეთესად თქვენ იცით.

პატივისცემით თ.კიტოვანი



# სომხური პრესის მიმოხილვის გამო

შაბათს გაზეთში „შანსი-პლუს" დაიბეჭდა ბატონ ვალერი კვარაცხელიასა და თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის რედაქტორის ბატონ ვან ბაიბურთის ერთობ საინტერესო დიალოგი ქართულ-სომხურსა და ჯავახეთის პრობლემებთან დაკავშირებით.

ამ დიალოგში ბატონმა ვან ბაიბურთმა აღნიშნა, რომ ქართული პრესიდან ზოგიერთი გაზეთი მეტისმეტად აღიზიანებს ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას.

როგორც ვან ბაიბურთის ჩემთან საუბრებიდან მახსოვს, ასეთ გამღიზიანებელ გაზეთთა შორის იგი „საქართველოსაც" მიიჩნევს.

მით უფრო კამათისას ვ.კვარაცხელიამ სწორედ გაზეთ „საქართველოდან" მოხმობილი ციტატით აღიარებინა მას, რომ ჯავახეთში მართლაც არიან ისეთი „მოღვაწენი", რომლებიც არც მეტი, არც ნაკლები, ჯავახეთის ავტონომიას, ანუ საქართველოს კიდევ ერთი ძირძველი კუთხის რბილი ფორმით წაგლეჯვას ითხოვენ.

ჩვენი გაზეთი ბეჭდავს სომხური პრესის მიმოხილვას, ანუ იმას, რას წერენ იქ ჩვენზე და, თუ ესეც კი აღიზიანებს მათ, ეტყობა, ამაზედაც ბოდიში უნდა მოვიხადოთ და ვიძახოთ, არ ვიცით, არ წაგვიკითხავს, რა სურთ სომეხთა ვაიპოლიტიკოსებს.

სხვათაშორის, სიამოვნებით მიმოვიხილავთ სომხური პრესის იმ გაზეთებსაც, სადაც ქართველთა ჭეშმარიტი მეგობარი სომხები თავად ამხელენ თავიანთ შოვინისტურად განწყობილ თანამემამულეთ. მაგრამ, ბატონო ვან, ამ სიამოვნებას მოკლებულნი ვართ, ვინაიდან, ასეთი წერილები ერევანში თუ არა, ბოლოს და ბოლოს, თბილისში გამომავალ სომხურ გაზეთში მაინც უნდა იბეჭდებოდეს, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება...

იმედია, მომავალში თქვენს პირდაპირ მოვალეობას შეასრულებთ, თავად ამხელთ საქართველოს ტერიტორიით დაინტერესებულ სომეხთა ვაიპოლიტიკოსებს, ანუ თქვენს გასაკეთებელ საქმეს ჩვენ არ გაგვაკეთებინებთ. ჩვენ კი ამნაირი პრესის მიმოხილვით, ანუ ქართველ – სომეხთა მეგობრობაზე საუბრით დავშვრებით.

ნოდარ ბრიგალაშვილი

* სომხური პრესის მიმოხილვა

# რა სურთ სომეხთა ვაიპოლიტიკოსებს?!

დასასრული
დასაწ. იხ. „საქართველო" №64, 65

გაზეთ „ჯავახქის" 1996 წ. ივნისის №2 (17)-ში დაბეჭდილია სარედაქციო წერილი სათაურით: „სულის ბოროტება და სიკეთე არ დაიმალება". მასში ნათქვამია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტი „ჯავახქშიც" ყოველმხრივ იქნა შესწავლილიო. ამის შემდეგ მხარის მოსახლეობას დაურიგდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მიერ შედგენილი ანკეტა. უცილობლად გამოირკვაო, რომ მხარის მოსახლეობას სურს „ჯავახქმა" მიიღოს ავტონომიის კონსტიტუციური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. თბილისიდან „ჯავახქს" ჩამოვიდაო პარლამენტარებისა და კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი იურისტების ერთი ჯგუფი. ეს კომისია დარწმუნდაო, რომ „ჯავახქის" მოსახლეობა მხარის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და განათლების უკლებლივ ყველა სფეროში მოითხოვს ავტონომიას. მაგრამ ირკვევაო, რომ თბილისსა და ერევანში „ჯავახქის" საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მოთხოვნა მრუდე სარკეში დაინახეს.

ჩვენი, ჯავახეთელების მოთხოვნის შინაარსი არ შეიცვლებაო, ავტონომია კონსტიტუციით უნდა დაკანონდეს ჯავახეთისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რესპუბლიკებში, სამწუხაროდ, არიანო ძალები, რომლებიც ცდილობენ ჯავახეთელების მოთხოვნაში ახალი შინაარსი ჩადონ.

ჯავახეთის ავტონომიისათვის მებრძოლები, თითქოს, სომხეთის ხელისუფლების მიმართაც გამოხატავენ უკმაყოფილებას. თუნდაც რომ ისინი გულწრფელი იყვნენ ამ შემთხვევაში, საქართველოსთვის ბევრი არაფერი იცვლება. სომხეთში ტერ-პეტროსიანის ხელისუფლებას ხომ მძლავრი ოპოზიცია ჰყავს. კიდეც რომ დარჩეს ტერ-პეტროსიანი რამდენიმე წლით სომხეთის პრეზიდენტად, ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც ახალი ძალები (მაგ. დაშნაკები) მოვლენ სომხეთის სათავეში. იგივე ტერ-პეტროსიანსაც ხომ შეიძლება შეაცვლევინონ დამოკიდებულება ჯავახეთის ავტონომიისათვის მებრძოლებისადმი. მთავარი ის არის, რომ თვით ჯავახეთში გაჯანსაღდეს ვითარება, რასაც, სამწუხაროდ, კარგი პირი არ უჩანს. გაზეთ „ჯავახქის" 1995 წ. აპრილის №3 (9)-ში ისიცაა ნათქვამი, რომ ნინოწმინდის რაიონში გართულდაო ქართველ-სომეხთა ურთიერთობა. საქმე კინაღამ შეტაკებამდე მივიდაო, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვებოდაო არცახისთვის. სომხები ყარაბაღს არცახს ეძახიან. მაშასადამე, სომეხთა გარკვეულ წრეებში მიაჩნიათ, რომ ქართველებთან შეიარაღებული შეტაკება, კონფლიქტი უნდა გადაიდოს ყარაბაღის საკითხის მოგვარებამდე.

ჯავახეთის ავტონომიისათვის მებრძოლები, მათი მფარველები და მხარდამჭერნი, როგორც იგივე გაზეთ „ჯავახქის", ასევე, სხვა მასალებიდანაც ირკვევა, მიიჩნევენ, რომ ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას ფაქტობრივად უკვე მოპოვებული აქვს ავტონომია. ამჟამად ბრძოლა მიმდინარეობს იმისათვის, რომ მოხდეს ამ ფაქტის იურიდიული გაფორმება.

რამდენსაც არ უნდა ეცადონ, რომ გაგვაბრუონ ცარიელი, შინაარსისგან დაცლილი სიტყვების რახარუხით სომეხ-ქართველთა მეგობრობის განმტკიცებაზე, იმ შემთხვევაში, თუ „ჯავახქს" ავტონომია მიენიჭება, ცხადია, ამ ვაჟბატონების ჩანაფიქრის გამოცნობა ძნელი არ არის. მათი საბოლოო მიზანია მოჰგლიჯონ ჯავახეთი დედა-საქართველოს. უფრო მეტიც, სამცხესაც (იქნებ საქართველოს სხვა მხარეებსაც) ეპოტინებიან. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გაზეთ „ჯავახქის" 1995 წ. მაისის №4 (10)-ში დაბეჭდილი ინფორმაციაც სათაურით: „ეროვნული სულის ამმაღლებელი ლექცია". ასეთი იყოო პროფესორ ვ.წატინიანის მიერ ახალქალაქის სომხური საზოგადოებრიობისათვის წაკითხული ლექცია (ახალქალაქში არსებობს სომხეთის უმაღლესი სასწავლებლების ფილიალები, რომლებშიც ლექციებს კითხულობენ სომხეთიდან ჩამოსული პროფესორ-მასწავლებლები). მასში იყო მოწოდებაო ერთიანი, მთლიანი სამშობლოს შექმნისა ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიით. საერთოდაც, ამგვარი აზრი ხშირად გვხვდება გაზეთ „ჯავახქის" ფურცლებზე. ცხადია, ამ ვაჟბატონებს ერთიანი სომხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიის ნაწილად ჯავახეთიც მიაჩნიათ. ამ მხრივ მათ თავიანთ დასაყრდენად სომეხი ისტორიკოსების ტენდენციური შრომები ეგულებათ. ასეა ეს საკითხი „გაშუქებული", კერძოდ, 1983 წ. ერევანში უზარმაზარი ტირაჟით გამოცემული „სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის" IX ტომში, რომელშიც ნათქვამია, რომ „ჯავახქი" დიდი სომხეთის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს.

ცხადია, ძალიან ძნელია საგაზეთო წერილში ჯავახეთის წარსულზე საუბარი, მაგრამ ზოგიერთი ფაქტი მაინც უნდა გავიხსენოთ. ცნობილი ძველი ბერძენი გეოგრაფი, სტრაბონი გვაუწყებს, რომ ადრე სომხეთი პატარა ქვეყანა ყოფილა, მაგრამ ქრისტეს შობამდე II ს-ის დასაწყისში გაძლიერებულა და სომეხთა მეფეებს არაერთი ქართული მხარეც მიუტაცებიათ. იგივე ანტიკური წყაროების ცნობებით, აგრეთვე სხვა მონაცემების მიხედვითაც, ქართველები არ ურიგდებოდნენ ქართული მიწა-წყლის სომხეთის შემადგენლობაში მოქცევას და წარმატებით იბრძოდნენ დანაკარგის დასაბრუნებლად. როგორც ჩანს, სომეხთა მეფეები აღნიშნულ ეპოქაში ჯავახეთის ერთი ნაწილის მისაკუთრებასაც ცდილობდნენ, მაგრამ დღევანდელი ჯავახეთის თუნდაც მცირე ნაწილი სომხეთის შემადგენლობაში ხანგრძლივი დროით არ მოქცეულა. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ჯავახეთში არ არის შემორჩენილი უძველესი სომხური წარწერები, ასეთები აქ მხოლოდ ქართულია. ჯავახეთს გამორჩეული ადგილი რომ ეკავა საქართველოს ცხოვრებაში, ამის მლაღადებელი მრავალი ფაქტი არსებობს. ასე მაგ., გიორგი ლაშას სახელით მოჭრილი ფულის ზედწერილში იკითხება: „გიორგი მეფე თამარის ძე, ჯავახთუფალი". ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ჯავახეთს მჭიდროდ უკავშირდება წმ.ნინოს საქმიანობა. ქართველ ხალხს ჯავახეთი ქართული სამყაროს ნაწილად მიაჩნდა მაშინაც, როცა ეს მხარე თურქეთს ჰქონდა დაპყრობილი. ქართული ტრადიციის მიხედვით, ჯავახეთის კანონიერ ხელისუფლად ჩვენში ერეკლე II ესახებოდათ და არა თურქეთის სულთანი ან რომელიმე ფაშა. ერთი ქართული თქმულების თანახმად, ერეკლეს ჯავახეთზე გაუვლია ჯარით. მას საძოვარზე მყოფი საქონლის ყიდვა დაუპირებია ჯარის დასაპურებლად. მეჯოგე უსასყიდლოდ გამასპინძლებია მეფესა და მთელ მის ჯარს. ერეკლემ მას აზნაურობა უბოძა. მწყემსს ნართაულად მოუხსენებია მეფისთვის, აზნაურობა რად მინდა, აი, ეს მთა რომ გებოძებინა, მერჩიაო. მაშინ ერეკლემ უბრძანა მდივანს, ესეც ჩაეწერა სიგელში: „ჯავახი არის ბრიყვობსო, ეს მთაც მაგისი იყოსო". საერთოდაც, ჯავახეთს დიდი ადგილი უჭირავს ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. „თავფარავნელი ჭაბუკი ხომ ჩვენი ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. მათ, ვისაც ყოველივე ქართული ნაყალბევად მიაჩნიათ (სამწუხაროდ, არიან ასეთები), უცხოელებს მაინც მოუსმინონ. XVIII ს-ის მეორე ნახევრის გერმანელი მეცნიერი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გიულდენშტედტი ჯავახეთის შესახებ ამბობდა, რომ ეს „არის ქართული მხარე, რომელიც ამჟამად მთლიანად თურქების ხელშია და ეკუთვნის ახალციხის გუბერნიას". ახალციხის მომცველი სამცხის შესახებაც მას ნათქვამი აქვს, რომ ეს „არის ქართული მხარე".

ცნობილია, რომ 1829 წელს რუსეთმა სამცხე-ჯავახეთიდან განდევნა თურქეთი. თითქოს, ასრულდა ერეკლე II-ისა და მის თანამოსაგრეთა ოცნება. ერეკლემ რუსეთი საქართველოში სწორედ იმ მიზნით შემოიყვანა, რომ საქართველოს დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები. მაგრამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას სულ სხვანაირი მიზნები ამოძრავებდა. მას გარუსებული, გადაჯიშებული საქართველო სჭირდებოდა. ამ პროგრამის შესაბამისად რუსმა კოლონიზატორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს სამცხე-ჯავახეთის დაცლა ქართული მოსახლეობისაგან და აქ, კერძოდ, ჯავახეთში თურქეთიდან ლტოლვილი სომხების დასახლება. ჯავახთა შორის გავრცელებული ყოფილა გამოთქმა: „ჯავახეთი 80-ჯერ წახდენილა და 90-ჯერ აღშენებულა". საქართველოს სამხრეთი კარიბჭის ბურჯის, „წახდენილი" ჯავახეთის აღშენებაში ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიც მონაწილეობდნენ ადრე. საქართველოში რუსეთის გაბატონებამდე. XIX ს-ში ჯავახეთში სომეხთა მასობრივი ჩამოსახლებით კიდევ ერთხელ „აღშენებით აღშენდა ჯავახეთი, – წერს ალ.ფრონელი, – მაგრამ სხვანაირად, უკუღმა. ქართველების გასაგისი თითქმის ამოვარდა და მათ ნაოხრებზე სხვა დამკვიდრდა". ამ „სხვას" მადა თანდათან უძლიერდება. არ იკმარეს ის, რომ 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლების წყალობით ლორე-ტაშირი მოჰგლიჯეს საქართველოს და ახლა ჯავახეთის მიტაცებისთვისაც იბრძვიან. აქაოდა, ავტონომიის გარეშე ჩვენს ნიჭს გაფურჩქვნა არ უწერიაო. თუ საერთოდ შეუძლებელია ამა თუ იმ ხალხმა სხვა ქვეყანაში სრულყოფილად გამოავლინოს თავისი უნარი მშობლიური კულტურის განსავითარებლად და ამისი დიდი სურვილი აქვს, მაშინ თავის ქვეყანას უნდა დაუბრუნდეს.

ჯავახეთი მოფენილია ქართული სიძველეებით, ეკლესია-მონასტრებით, ციხე-კოშკებით, მათი ნანგრევებით, ქართული წარწერებით. 1918 წ. 7 ივნისს გაზეთი „ერთობა" წერდა: „ახალციხე და ჯავახეთი – ეს დანგრეული ძეგლია ძველი საქართველოს, მისი ტაძრები და დასამარებული სოფლების აჩრდილები მღაღადებელია მთელი საუკუნეთა უბედურების, ზღვა ცრემლების, აოხრების" – ვინ უნდა უპატრონოს ქართველის ცრემლით ნაბან ჯავახეთის სიძველეებს, მათ ნანგრევებს? სომხური შოვინისტური წრეების მიერ მოწამლული ჯავახეთის სომხობა ამას არ გააკეთებს. უამრავი ფაქტია იმისა, რომ ეს სომხობა შეგნებულად ანადგურებს ქართულ სიძველეებს, ქართულ წარწერებს. ჯავახეთის ნანგრევებს ქართველმა ხალხმა, ქართულმა ეკლესიამ უნდა უპატრონოს. ამ მიზნით ჯავახეთის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთრებაში უნდა გადაეცეს ქართულ ეკლესიას.

სომეხთა გარკვეულ წრეებს, როგორც ჩანს, გულს იმედი ჩაესახათ იმის გამო, რომ ქართველებმა საჭირო თავდადებით, თავგანწირვით ვერ ვიბრძოლეთ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესანარჩუნებლად. დღევანდელი ქართველი ერი არ აღმოჩნდა მზად სამშობლოს დასაცავად. უფრო მეტიც, შავი თეთრისაგან ვერ გაგვირჩევია. მაგრამ იქნებ ყოველთვის ასე არ იყოს, იქნებ ჩვენც გავილვიძოთ, გამოვფხიზლდეთ და დავიბრუნოთ ის შემართება, ის „მდუღარებაი სულისაი", რომელიც ჩვენს წინაპრებს, ქართველი ერის ჯანსაღ ნაწილს ყოველთვის გამოარჩევდა. სხვანაირად ჩვენ ვერ ავიცილებთ იმ განსაცდელს, რომელიც XXI საუკუნის გარიჟრაჟზე შავი ყორანივით თავს დაგვჩხავის.

ალექსანდრე აბდალაძე

# სანახაობა - საოცრება, ანუ ქართველი ერის დიდებული ისტორია

ქართული კულტურის უძველესი დარგი, - ქორეოგრაფია, რომლის საწყისებთანაა დაკავშირებული ქართული ხალხური მუსიკა, თეატრალური სანახაობანი და თვით პოეზიაც კი, - უყურადღებოდაა მიტოვებული და ჩვენგან - თანამედროვეობისაგან მოითხოვს ამ დარგის ისტორიის, თეორიისა და მეთოდიკის შესწავლს.

ვთქვათ სიმართლე - უკანასკნელ პერიოდში თითქმის არაფერი კეთდება მისი მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისა და ამ დარგის მეცნიერული კვლევაძიებისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან არსებული ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრას და უბინაოდ მყოფ ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის საქმიანობას.

საჭიროა ისე როგორც მუსიკალური, თეატრალური და სახვითი ხელოვნების დარგში (მათთვის არსებობს უმაღლესი სასწავლებლები, შემოქმედებითი კავშირები, თეატრები, მუზეუმები), ქორეოგრაფიის მეცნიერული შესწავლისა და სათანადო კადრების მომზადებისათვისაც შეიქმნას უმაღლესი სასწავლებელი, შესაბამისი კვლევითი ცენტრითა და მუზეუმით; რადიკალურად გარდაიქმნას საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის მუშაობა, - „თავშესაფრის" გამოყოფიდან დაწყებული შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. უპირველეს ყოვლისა კი ამ დარგის ხელმძღვანელობისათვის აუცილებელია კულტურის სამინისტროში შეიქმნას შესაბამისი - ქორეოგრაფიული მუშაობის სამმართველო. ამ საორგანიზაციო ღონისძიების გარეშე შეუძლებელია რაიმე გარდატეხის შეტანა.

გავიხსენოთ ისიც, რომ ქართული ეროვნული კულტურის ამ უძველესი და უპირველესი დარგის შესახებ, თანამედროვე შემფასებლებს თავი რომ გავანებოთ, ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში განცვიფრებას გამოხატავდნენ ცივილიზებული ქვეყნების წარმომადგენლები გარდა წერილობითი წყაროებისა, ქართული ცეკვის თვითმყოფადობასა და მიმზიდველობას ადასტურებს მითოლოგია, ხალხური სიტყვიერება, არქეოლოგიური მონაპოვარი.

ქსენოფონტეს ცნობით, ქართველები ცეკვით იწყებდნენ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თითქოს სხვებისათვის უნდა ეჩვენებიათ თავიანთი ხელოვნება; რომ ქართველთა ეს მაგიური როკვანი დაკავშირებულია ბრძოლის დროს გამარჯვებასთან და ისინი სრულდებოდა სიმღერის ხმაზე...

ბერძნული წყაროების დამადასტურებლად, დღესაც შემორჩენილია სვანეთში, მთა-თუშეთში, აჭარაში და სხვაგან ქართულ სიმღერებთან სინქრონულად, ერთმანეთთან შერწყმული ცეკვა-თამაში, სანახაობანი.

როგორც დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, წარმართულ პერიოდში ჭანების ტომები ომსაც საომარი ცეკვასიმღერით იწყებდნენო; რომ თავდაპირველად და უძველეს ხანაში მღერა არ ყოფილა გალობის სინონიმი, მაშინ მღერა თამაშობას ნიშნავდა; რომ ეს ფაქტი დადასტურებულია „დაბადების" ქართული თარგმანებით: „ვიმღერდე და ვროკვიდე წინაშე უფლისა"; „ამისთვის ვმღერ და ვმუშპარობ"-ო. „ვიხარებდე და ვროკვიდე"-ო.

აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელობით ქრისტიანულ სამყაროშიც კიდევ დიდხანს შემორჩა თამაშის სინონიმად მღერა. ამაზე მიგვანიშნებს გენიალური შოთაც: „მეფესა ესე ამბავი, უჩანს, ვით მღერა ნარდისა". აქ მღერა ნარდის თამაშს ნიშნავს.

ქართულ ქორეოგრაფიას, თუ შევაფასებთ თანამედროვეობასთან კავშირით, შეიძლება ითქვას, რომ ალბათ, თუნდაც ყველა ქართული საელჩო ერთად აღებული, ვერ შეასრულებდა იმ „დიპლომატიურ" მისიას, რაც გააკეთეს ჩვენმა სახელოვანმა ანსამბლებმა ქართველი ხალხის, მისი კულტურის გაცნობით თვალსაზრისით.

საილუსტრაციოდ მოვუსმინოთ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს: - „ყოველ მოძრაობაში, ჟესტში, მიმიკის ცვალებადობაში იგრძნობა ქართველი ხალხის ძველებური კულტურის უმაღლესი საფეხური, რომელიც წინ უსწრებდა ანტიკური სამყაროს კულტურას, რომელიც არასოდეს არ მოსწყვეტია ქართულ ხალხურ ნიადაგს" (პროფ. ზდენეკ ნეედლისი).

- „თქვენი ცეკვები ყველაზე ლამაზი, ყველაზე უძველესი, ყველაზე ხალხური ცეკვებია" (თანამედროვე ფრანგული ბალეტის მამა სერჟი ლიფარი).

- „მე მხოლოდ 20 წუთს უნდა დავრჩენილიყავი თქვენს კონცერტზე, მაგრამ ახლა ბოლომდე დავრჩები. დაე, ქართულმა ხელოვნებამ ბოლომდე განმკურნოს"!

ეს სიტყვები უთხრა ანტრაქტის დროს ჯავაჰარლალ ნერუმ ილიკო სუხიშვილს.

- „ქართული ანსამბლი სრულიად სხვაა. მათ ცეკვებში ჩვენ ვკითხულობთ ქართველი ერის დიდებულ ისტორიას! ანსამბლი გადმოგვცემს პირველქმნილ ხალხურ ცეკვებს, რომელთა ძლიერების წინაშე ყველა და ყოველივე უძლურია". (ესპანელი მიმომხილველი ენრიკო ბადია).

- „მე ქართული ცეკვები ძველ ბერძნულ ფრესკებს მომაგონებენ..."

(ბერძენი დრამატურგი კოტრიკასი).

როგორც ვხედავთ, უცხოელი შემფასებლების ფონზე შეიძლება ასეთი დასკვნაც გავაკეთოთ: ქართული ქორეოგრაფია, თავისი თანამედროვე გამოხატულებითაც, დიახაც წარმოადგენს სინქრონულ სამყაროს უძველესი ქართული სულიერი კულტურას, რომელშიაც, სანახაობრივ მხარესთან ერთად, არეკლილია ცეკვების შესაბამისი სიმღერა-გალობანი და საკრავიერი მუსიკაც „ლილეოსიდან" (მზის საგალობლიდან) დაწყებული დღევანდლამდე. მარტო „ფერხულის", „სამაიას", „ხორუმის", „სადარბაზო-ქართული" ცეკვების გახსენებაც საკმარისია ზემონათქვამის საილუსტრაციოდ.

და, ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს დღევანდელი მდგომარეობა ქართული ქორეოგრაფიისა? განა შეიძლება მისი აღორძინება-შესწავლა სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის შექმნის გარეშე? განა შეიძლება სამეცნიერო-საექსპედიციო-მეთოდური მოღვაწეობა სათანადო კადრების მომზადების გარეშე? იგივე ითქმის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და მუზეუმის შექმნის აუცილებლობაზე. ნუთუ არ დადგა დრო, რომ თუნდაც თბილისში მაინც შეიქმნას, მუდმივმოქმედი ქორეოგრაფიულ სანახაობათა ცალკე ცენტრი-თეატრი?!

სწორედ უყურადღებობის შედეგია ისიც, რომ სათანადო კადრების უქონლობის გამო, დავიწყებასაა მიცემული ქორეოგრაფიის სახელოვანი წარმომადგენლებიც (დავით ჯავრიშვილი, ლილი გვარამაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, ილიკო სუხიშვილი...) და მათი ნაღვაწიც. იგივე ითქმის პროვინციებში მოღვაწე ბრწყინვალე ქორეოგრაფ-ენთუზიასტებზე. არადა როგორ დაამშვენებდა იქ, ადგილებზე, მათი სახლ-მუზეუმების არსებობა?!

მივხედოთ ქართულ ეროვნულ ქორეოგრაფიას!!!

**ვახტანგ გურგენიძე**

# კაიფვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მიწოლილად:** 4. „მანიის შეპყრობილი" კინომსახიობი; 6. „შტოიანი" ფეხბურთელი; 9. „მტვერსა და გრიმში" მოსვრილი მლოცველი (რუს.კავშ.); 14. „ძვირფასი დროის" ვეფხვი (ფრანგ.ნაწ. კავშ.); 15. რუსეთის მდინარისაგან და..." შექმნილი ამერიკის შტატი; 16. „ქართველ რეჟისორ ქალბატონზე" შეყვარებული მსახიობი; 17. „სექსუალური აქტის" სოფელი; 18. „მხვრინავი" ძალოსანი (რუს.კავშ.); 19. „ქალური" პროვინცია სამხრ.აფრიკის რესპუბლიკაში; 20. ქართველი კაცის „წინაპარი" სომხური რადიოს ვერსიით; 23. „რამეში მოყოლილი" გურიის სოფელი; 26. „ლაკწასმული სტრუნიანი" რძის ფხვნილი; 29. „ჯარის" მიერ გამოწვეული კუნთების შეკუმშვა; 31. „თმიანი ქართული ლიტერატურული პერსონაჟი"; 33. „ჩელენტანო-მაიმუნის" სახელობის თამაში; 34. „გალვანური" ფულის ერთეული; 35. ინდიელი, რომელიც „თქვენ არ ხართ" (ფილმი) (რუს.კავშ.); 37. გალაქტიონის ლექსის „მიმთვისებელი" ფრანგი მწერალი; 38. ქონება, რომელიც „დააგროვა მოჭადრაკე ტალიმ" (რუს.კავშ.); 39. ადგილი საქართველოში, სადაც ადამიანი თავისი სიკვდილით არ კვდება; 40. „მჩხვლეტავი" ქალაქი სამხ. ამერიკაში (რუს.კავშ.); 41. „ბალტიისპირეთის ქალაქიდან წარმოშობილი" ლითონის კონსტრუქციის ელემენტი.

**მიყრდნობილად:** 1. პატიმრების „საყვარელი კონიაკი"; 2. ქართული არაყის მოყვარული ფიზიკოსი; 3. „ცენტამდე" დასული მეცნიერი (რუს.კავშ.); 5. „ლიმიტირებული" ოპერა; 7. „გვარიანი შთამომავალი"; 8. „ესპანელ მხატვარზე" გაშენებული ქალაქი (რუს. კავშ.); 9. „ნ.კ.ვ.დ-ს" სათვალე; 10. „არაშრომითი შემოსავლის მქონე ალნაგობის რადიოდიქტორი (რუს.ნაწ.კავშ.); 12. სიგარეტის „უკანალიანი" მოსაწევი საშუალება, „ოინების" გამოყენებით (მეგრ. რუს.კავშ.); 13. „ბანქოს ნიშნიანი" რეჟისორი; 20. „მოშიებული" ინდუიზმის ღვთაება; 21. „რუსული ქალაქი, რომელიც ქართველ კაცს ეთანხმება"; 22. „ზოლიანი მეუღლის შვილის" პირსაპარსი; 24. „ყოვლად უბედური" ქალაქი ტრანსპორი; 25. „ქართული გაზეთით" გაერთიანება, კავშირი; 26. სახელმწიფო, სადაც სული „ბრძოლაა" (იმ ქვეყნის ენაზე); 27. „ცხოველი" საქონელი (რუს.კავშ.); 28. ქალაქი საქართველოში, სადაც „ბრაზილიელ ავტომრბოლელს დიდ პატივს სცემენ"; 30. „საპაემანო" შოკოლადი; 32. „ფირნიშიანი" ყაჩაღი; 36. ღვინო, რომელიც პირდაპირ გირტყამს ტვინში.

**P.S. 11**. „ჩინელების სახმარი" ქართული გოდორი (ან. „ინდური წარმოშობის" ქართული გოდორი) ამოირჩიეთ!



**თარაზულად:** 3. მუსლიმანთა წმიდა ქალაქი; 5. მოგონილი, შეთხზული რამ; 7. პოპულარული ამერიკელი მომღერალი და სიმღერების ავტორი; 8. ქართული გლოვის სიმღერა და მისი პოეტური ტექსტი; 9. არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთი სახე; 10. ნიდერლანდელი კინორეჟისორი; 13. ქართველი ფეხბურთელი „ოქროს ბიჭების" გუნდიდან; 18. საქართველოში მოსული ერთ-ერთი ასურელი მამა, დიაკონი; 19. პლანეტა, რომელსაც ეწოდა უდროოდ გარდაცვლილი ქართველი ჭაბუკი მხატვრის სახელი; 20. წარმოების, ვაჭრობის და მისთანათა შენელება, შეფერხება; 21. ინგლისელი ოფიცერი, ავსტრალიის მკვლევარი; 22. „ქვაბის" სინონიმი თიანეთის რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში; 24. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 28. მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეში; 30. თევზის სამალავი, ჯილღ; 31. ნატვრის გამომხატველი სიტყვა; 32. ვაზის ჯიში; 33. სტილი არქიტექტურასა და დეკორატიულ ხელოვნებაში; 34. სინამდვილის მცდარად აღქმა გრძნობათა მცდარობის შედეგად.

**შვეულად:** 1. ფანტასტიკური ცხოველი ანტიკურ მითოლოგიაში; 2. ერთ-ერთი უძველესი სახვნელი იარაღი; 3. სლავური ანბანის შემქმნელთაგანი, განმანათლებელი; 4. დანაშაულის სახე ქართულ ფეოდალურ სამართალში; 5. ფრანგი მწერალი; 6. რადიოდადგმულობის ნაწილი; 9. ქრისტიანი თეოლოგი და ფილოსოფოსი; 11. პერსონაჟი ჰიუგოს რომანისა „93 წელი"; 12. ქვევრის მოყვანილობის დიდი ქილა; 13. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 14. სპორტული თამაში; 15. უსაქმოდ მოხეტიალე, მოხეტიალე ახალგაზრდა; 16. ერაყის პოლიტიკური მოღვაწე; 17. გამოცემის (წიგნის, ჟურნალის) ფორმატი; 23. პოეტური ნაწარმოები; 25. კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი; 26. განმეორებითი გამაფრთხილებელი დარტყმა ფარიკაობაში; 27. სინამდვილის ასახვის ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 29. სახელმწიფო კუნძულ მადაგასკარზე XIV საუკუნიდან XIX საუკ. დასაწყისამდე; 30. ცეკვა „ქართულის" შესავალი - მისი დასაწყისი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. პაქტი; 3. ჩელსი; 6. პლატი; 11. სინდრომი; 12. ტენერიფე; 13. პათოლოგია; 15. მატე; 16. ლენა; 19. დიელო; 20. ატიკი; 21. ეოტრო; 23. რიტმი; 25. აკრი; 26. სკრა; 28. აფტერშოკი; 34. ამალგამა; 35. არდილესი; 36. ირისი; 37. ფიფია; 38. ტვიში; 26. სკრა.

**შვეულად:** 1. პოსტი; 2. ქინქლაძე; 4. ელისო; 5. სიტრო; 7. ალიმენტი; 8. იდენი; 9. ბინა; 10. ინდი; 13. პედოლოგია; 14. ალბატროსი; 17. ადუვა; 18. ლიბია; 22. ტაკელაჟი; 24. ტორიჩელი; 27. კლანი; 29. ფრაუ; 30. ემალი; 31. შრატი; 32. კოდა; 33. შტიხი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444